*დანართი №2*

## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ (ქალაქ სენაკის ლოკაციაზე მის.:ქ.სენაკი მშვიდობის ქუჩა N192) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: ,,ახალგაზრდული საქმიანობა“; ,,ადმინისტრაციული სერვისები“; ,,მებაღეობა“; ,,ელექტროობა“ და ,,ინფორმაციის ტექნოლოგია“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: გვანცა პაკატილოვი -პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;

**წევრები:**

ეკა ბუთხუზი-პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;

ვერიკო ხელისუფალი - დარგის ექსპერტი -,,ახალგაზრდული საქმიანობა“;

მარიკა ქიქავა - დარგის ექსპერტი - ,,ადმინისტრაციული სერვისები“ ;

ნანა შარაბიძე - დარგის ექსპერტი - ,,მებაღეობა“;

ნინო ბალახაშვილი - დარგის ექსპერტი - ,,ელექტროობა“;

დემიდ ფასიეშვილი - დარგის ექსპერტი - ,,ინფორმაციის ტექნოლოგია“.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი I. შესავალი

### I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი:220407888

სახე:

■ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 10 ივლისის №910455 (ცვლილება: № 939430 - 16/07/2026, №970181 - 24/07/2026) ბრძანების საფუძველზე, განხორცილდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალაქ სენაკის ლოკაციაზე (მშვიდობის ქუჩა N192) დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების შესაბამისობის შემოწმების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2026 წლის 28- 29 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალაქ სენაკის ლოკაციაზე მის.:ქ.სენაკი მშვიდობის ქუჩა N192. ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ადმინისტრაციულ პერსონალსა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

## III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალით(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ახალგაზრდული საქმიანობა“**

**ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები**

**I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*წარმოების ფარგლებში ხარვეზი არ გამოვლენილა.*

## III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*წარმოების ფარგლებში სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.*

## IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.1. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, თუმცა გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ სწავლის შედეგების უფრო ეფექტიანად მიღწევის მიზნით, მიზანშეწონილია სასწავლო გეგმაში დარგობრივი მოდულების თანმიმდევრობის გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ახალგაზრდული საქმიანობის შესწავლის ლოგიკური ჯაჭვი – საფუძვლიანი ცოდნისა და უნარების ეტაპობრივი განვითარებიდან უფრო კომპლექსური პროფესიული კომპეტენციების ჩამოყალიბებამდე. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების თანმიმდევრულ და ეფექტიან მიღწევას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

**სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენციით (2026 წლის 24 აგვისტოს წერილი N0001084858) დგინდება, რომ დაწესებულება ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.**

## ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

### I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ახლგაზრდული საქმიანობა |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ახალგაზრდულ საქმიანობაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0922 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | 2026 წლის 29 ივნისი, აკადემიური საბჭოს დადგენილება №39 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. სენაკი, მშვიდობის ქუჩა N192 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 45 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 119 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 149 |

**II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

**ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ახალგაზრდული საქმიანობა“ სრულად შეესაბამება დაწესებულების საგანმანათლებლო პროფილსა და სტრატეგიულ მიზნებს. უნივერსიტეტის სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებაა: ახალგაზრდული პოლიტიკის, სტუდენტური ცხოვრებისა და კარიერული სერვისების ეფექტური სისტემის მხარდაჭერა და გაძლიერება. პროგრამა შემუშავებულია დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის სათანადო დასაბუთება, მათ შორის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ახალგაზრდული საქმიანობა“ დაგეგმვისა და შემუშავების მიზანშეწონილობის ცხრილი, რომელიც ასახავს როგორც ადგილობრივი, ისე ეროვნული შრომის ბაზრის საჭიროებებსა და პროგრამის შემუშავება და დანერგვა ემსახურება უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული იმ ამოცანის განხორციელებას, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის საჭიროებებზე რეაგირებასა და რეგიონში ახალგაზრდული პოტენციალის განვითარების მხარდაჭერას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის მიზანშეწონილობა დასაბუთებულია წარმოდგენილი დოკუმენტაციით, კერძოდ, მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური წერილის თანახმად, ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელებისთვის არსებობს კვალიფიციური ახალგაზრდული მუშაკების დეფიციტი, ხოლო „ახალგაზრდული საქმიანობა" მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ იდენტიფიცირებულია მოთხოვნა ისეთ კომპეტენციებზე, როგორიცაა ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა, პროექტების დაგეგმვა და მართვა, არაფორმალური განათლების მეთოდების გამოყენება და საზოგადოებრივი ინიციატივების მხარდაჭერა, რომელთა განვითარებასაც პროგრამა უზრუნველყოფს.

პროგრამის მიზანშეწონილობას ასევე ადასტურებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2025 წელს განხორციელებული კვლევა „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა". კვლევის მიგნებების მიხედვით, სოციალური სერვისების, არაფორმალური განათლებისა და საზოგადოებრივი ინიციატივების მართვის მიმართულებით მოთხოვნა შრომის ბაზარზე სტაბილურად ნარჩუნდება. ამასთან, პროექტების მართვის, თემის საჭიროებების კვლევისა და არაფორმალური სწავლების კომპეტენციები მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს საჯარო და სამოქალაქო სექტორის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და მტკიცებულებების ანალიზი ცხადყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება ჯეროვან დასაბუთებას, პასუხობს თანამედროვე ეკონომიკურ მოთხოვნებს და სრულ თანხვედრაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტებთან.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ახალგაზრდული საქმიანობა" დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს და მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება. პროფესიულ სტუდენტთა პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პროცედურები რეგულირდება შიდა მარეგულირებელი აქტებით „პროფესიულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“ (დამტ. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის N36 დადგენილებით), რომლებიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მიმდინარე მოთხოვნებს. დაშვების წინაპირობებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების ლოგიკური ჯაჭვი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტის წინარე ცოდნა იყოს ადეკვატური საიმისოდ, რათა პროგრამით განსაზღვრულ ვადებში (სწავლების ინტენსივობის გათვალისწინებით) ეტაპობრივად მიღწეულ იქნეს ყველა პროფესიული კომპეტენცია.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის შესაბამისი მარეგულირებელი აქტით ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესით“ (დამტკიცებულია : წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 29 დეკემბრის N53 დადგენილებით), რომლის მიხედვითაც სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება არსებული რესურსის გათვალისწინებით. წინამდებარე წესის მიხედვით, უნივერსიტეტი სასწავლო პროცესს წარმართავს ორ მუნიციპალიტეტში, შემდეგ მისამართებზე: ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14 და სენაკი, მშვიდობის ქ.N192. უნივერსიტეტში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო - A, B და C. დასაშვებია გარემოს სხვადასხვა მოდელი ერთ სივრცეშიც იყოს განთავსებული, მაგალითად, ერთ სივრცეში არსებობდეს ერთდროულად A და C, A და B, B და C, A, B და C გარემო.

A ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის. აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და კომპიუტერით ან ლეპტოპით, ასევე დემონსტრირების საშუალებით (პროექტორი ან ეკრანი ან ინტერაქტიული დაფა). შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება სწავლების შერჩეული მეთოდის გამოსაყენებლად.

B ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემებისა და რაოდენობის კომპიუტერით (1 პროფესიულ სტუდენტზე 1 კომპიუტერი), მასწავლებლის მაგიდითა და კომპიუტერით ან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ლეპტოპით, პრინტერითა და დემონსტრირების საშუალებით (პროექტორი ან ეკრანი ან ინტერაქტიული დაფა). B გარემოში შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება.

C ტიპის სასწავლო გარემო - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობის შიგნით. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აღჭურვილობის ნორმატივები დადგენილია ინდივიდუალურად მოდულების შესაბამისად.

პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გარემოსა და მატერიალურ რესურსთან მიმართებაში მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოსთან მიმართებაში გათვალისწინებულია ფართი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად (არსებობის შემთხვევაში) და რესურსი პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რაოდენობის გათვალისწინებით;

უნივერსიტეტში დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელების კვირეული დატვირთვის, სხვადასხვა ცვლებში მუშაობისა და შეჭრილი ცხრილების გათვალისწინებით; კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია პროგრამისათვის გამოყოფილი სასწავლო გარემოს ოდენობა. რაც მეტია გარემო, მით მეტია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა გამტარიანობა; კვოტის განსაზღვრის დროს ძირითად შემზღუდავ ფაქტორს წარმოადგენს სასწავლო გარემოს ფართი. ის უნდა აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. რამდენიმე გარემოს არსებობის შემთხვევაში კვოტა ეყრდნობა ყველაზე მცირე მოცულობის ფართს, შესაბამისი აღჭურვილობის გათვალისწინებით; ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობა განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად, ყველა გარემოს რესურსიდან უმცირესის გათვალისწინებით.

დაწესებულება კვოტის განსაზღვრისას ითვალისწინებს პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებელი პირის, ასევე კოოპერაციული სწავლების დროს, პრაქტიკული კომპონენტების განმახორციელებელი პირების/ინსტრუქტორის რაოდენობას. შესაძლებელია კონკრეტულმა პროფესიულმა სტანდარტმა/საგანმანათლებლო სტანდარტმა შეზღუდოს ინსტრუქტორების რაოდენობა პროფესიული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

შეფასების პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, სასწავლო გარემოს ვიზუალური დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ახალგაზრდული საქმიანობა“ მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებულია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამითა და მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.პროგრამის თითოეულ მოდულში განსაზღვრულია მისი განხორციელებისთვის აუცილებელი საგანმანათლებლო რესურსები, სასწავლო გარემო, ტექნიკური აღჭურვილობა და დამხმარე მასალები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ აღნიშნული რესურსები შესაბამისობაშია მოდულების მიზნებთან, სწავლის შედეგებსა და შეფასების კრიტერიუმებთან და უზრუნველყოფს როგორც თეორიული ცოდნის მიღებას, ისე პრაქტიკული უნარებისა და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისთვის აქვს შესაბამისი სასწავლო სივრცეები, რომლებიც აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურით. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის სახელმძღვანელოები, მეთოდური და ელექტრონული მასალები, პრეზენტაციები, შემთხვევების ანალიზი, პროექტული დავალებები,სიმულაციური და როლური აქტივობებისთვის საჭირო რესურსები,ვიდეომასალები, დარგობრივი ნორმატიული დოკუმენტები და სხვა დამხმარე რესურსები.ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და უზრუნველყოფს ინდივიდუალური, წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობის ორგანიზებას,რაც პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია თანამშრომლობითი სწავლების, ეფექტიანი კომუნიკაციის, ფასილიტაციის, ახალგაზრდებთან მუშაობის, პროექტების დაგეგმვისა და სხვა პროფესიული კომპეტენციების განვითარებისათვის

ინტერვიუებით ასევე დადასტურდა, რომ სასწავლო რესურსები სისტემატურად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში განახლდება პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებისა და თანამედროვე პროფესიული განათლების მოთხოვნების შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით,პროგრამა „ახალგაზრდული საქმიანობა“ უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსებით, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს, სწავლების მეთოდებს, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობასა და თანამედროვე პროფესიული განათლების მოთხოვნებს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ახალგაზრდული საქმიანობა” არ მოიცავს არჩევით მოდულს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, უნივერსიტეტში პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილია აკადემიური საბჭო, შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია 2026 წლის 29 ივნისი, აკადემიური საბჭოს №39 დადგენილებით. (ცვლილება განხორციელდა 2026 წლის 17 ივლისის, აკადემიური საბჭოს №47 დადგენილებით.)

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.6 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება მკაფიოდ და ადეკვატურად ასახავს მის შინაარსობრივ სპეციფიკას, ძირითად მიმართულებებსა და პროფესიულ ორიენტაციას. იგი სრულ თანხვედრაშია დასახულ სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების, სტრუქტურისა და მოსალოდნელი კომპეტენციების სწორ აღქმას როგორც დაინტერესებული პირების, ისე პოტენციური დამსაქმებლების მხრიდან. მოდულების შინაარსი, სტრუქტურა და შესაბამისი სწავლის შედეგები ურთიერთდაკავშირებული და თანმიმდევრულია, რაც განაპირობებს მათ სრულ შესაბამისობას პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ სფეროსთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სახელწოდება შინაარსობრივად დასაბუთებული, ზუსტი, რელევანტურია და  არ არის შეცდომაში შემყვანი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.7 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

სსიპ -შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი „ახალგაზრდული საქმიანობა“ პროგრამა შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული რეგულაციების (სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება - დამტკიცებული საქართველოს  განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის ბრძანება №131/ნ-ით;  „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ დამტკიცებული 2026 წლის 26 ივნისის № 36 დადგენილებით სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო მიერ. „აკადემიური საბჭოს დებულება“ დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2024 წლის 23 დეკემბრის N69 დადგენილებით, ) პროგრამა ეფუძნება შესაბამის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტს (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი: - 09.1.1 და სრულად შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ყველა სავალდებულო ელემენტს: მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, დაშვების წინაპირობებს,სწავლის შედეგებსა და მათ დეტალურ აღწერას, შეფასების სისტემას, სწავლების მეთოდოლოგიას, დასაქმების სფეროებს, ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ, პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმა, მოდულები, წარმოდგენილია ინფორმაცია მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ. პროგრამაში ინტეგრირებულია ქართული ენის მოდულები (A2 და B1 დონეები). აღნიშნული კომპონენტი უზრუნველყოფს არაქართულენოვანი სტუდენტების მომზადებასა და მათ სრულფასოვან ჩართვას სასწავლო პროცესში, რაც უნივერსიტეტის ინკლუზიურ გარემოზე მიუთითებს. პროგრამა მოიცავს უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრულ მოდულებს, სულ 119 კრედიტის მოცულობით - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის და 149 კრედიტს - არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.8 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- 2026 წლის 29 ივნისის, აკადემიური საბჭოს №39 დადგენილებით, (ცვლილება განხორციელდა 2026 წლის 17 ივლისის, აკადემიური საბჭოს №47 დადგენილებით) დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ახალგაზრდული საქმიანობა"
- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის N36 დადგენილებით;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი";
- „სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დებულება" დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2024 წლის 23 დეკემბრის N69 დადგენილებით;
- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება - დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის ბრძანება №131/ნ-ით;
- ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი" დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2024 წლის 29 დეკემბრის N53 დადგენილებით;
- „სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2024-2030 წლების სტრატეგიული დოკუმენტი", დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2024 წლის 23 დეკემბრის N82 დადგენილებით პროფესიული პროგრამის „ახალგაზრდული საქმიანობა" განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ვიზუალური დათვალიერება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

შეფასების პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, სასწავლო გარემოს ვიზუალური დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ახალგაზრდული საქმიანობა" უზრუნველყოფილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და პრაქტიკული სასწავლო რესურსებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ახალგაზრდული საქმიანობა" ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში კოოპერაციული სწავლების ფორმით. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის გამოყოფილია შესაბამისი გარემო. აუდიტორია №310-ში მოწყობილია A გარემო, აუდიტორია აღჭურვილია ციფრული სადემონსტრაციო საშუალებებით (ლეპტოპი, პროექტორი), რაც იძლევა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მეცადინეობების ინტერაქტიულად ჩატარების შესაძლებლობას, N308 აუდიტორია არის B ტიპის სასწავლო გარემო, ხოლო N101 აუდიტორია წარმოადგენს C გარემოს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ახალგაზრდული საქმიანობა" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 45 პროფესიული სტუდენტით ერთ მიღებაზე, ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით, სწავლება ხორციელდება ორ ცვლაში. ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- 119 კრედიტი და პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 26 სასწავლო თვეს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 149 კრედიტი და 33 სასწავლო თვეს. მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე ჯგუფში.

დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო სივრცეებითა და საჭირო ინვენტარით, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, განივითარონ პროფესიული კომპეტენციები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული კომპონენტი ხორციელდება უნივერსიტეტის ბაზაზე, ხოლო პროგრამის მოდულები: ,,ახალგაზრდულ საქმიანობაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა", ,,ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების შესწავლა", ,,ახალგაზრდული საქმიანობის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება", ,,ახალგაზრდული პროექტების განხორციელება" და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

,,არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება“ ხორციელდება პარტნიორ (თანაგანმახორციელებელ) ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. უნივერსიტეტი თანამშრომლობს ოთხ პარტნიორ ორგანიზაციასთან, რომელთანაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ესენია:

- ა(ა) იპ საქართველოს სტუდენტური პარლამენტი და მთავრობის სენაკის წარმომადგენლობა
- ა(ა) იპ სენაკის მუნიციპალიტეტისმოსწავლე-ახალგაზრდობისა კულტურის ცენტრის
- სსიპ თემურ ბოკუჩავას აფხაზეთის №7 საჯარო სკოლა
- სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრი.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა პრაქტიკის ობიექტების ადგილზე. განხორციელდა პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება და პერსონალთან გასაუბრება. გასაუბრებისას დადასტურდა, რომ პრაქტიკის ობიექტებს აქვს მზაობა და შესაბამისი რესურსი, რომ მიიღოს ერთდროულად არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის მიერ გამოყენებული მატერიალური რესურსები, სასწავლო გარემოები და პარტნიორი ორგანიზაციების პრაქტიკული ბაზა სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ახალგაზრდული საქმიანობა“ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კოოპერაციული სწავლების ფორმატი და რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების პროფესიული კომპეტენციების განვითარებას და მათ მომზადებას ახალგაზრდული საქმიანობის სფეროში დასაქმებისთვის.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

**2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ახალგაზრდული საქმიანობა“, განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 4 პროფესიული მოდულების, ხოლო 10 ზოგადი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულების განმახორციელებელია, ხოლო 2 არის ქართული ენის მოდულების განმახორციელებელი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. წარმოდგენილი მასალებითა და გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებას რიგ მოდულებზე ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს. გასაუბრებისას დადასტურდა მათი ინფორმირებულობა პროგრამის მიზნების, მოდულების შინაარსის, სწავლებისა და შეფასების მიდგომების შესახებ. მასწავლებლებმა ასევე დაადასტურეს, რომ აქტიურად იყენებენ თანამედროვე სწავლების მეთოდებს, მათ შორის პრაქტიკულ აქტივობებს, ჯგუფურ მუშაობას და სიტუაციური ამოცანების ანალიზს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდული საქმიანობის სფეროს სპეციფიკისთვის.

ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით განმახორციელებელ პირებთან დადებულია შეთანხმებები, რომლებიც ითვალისწინებს ავტორიზაციის მიღების შემდეგ შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებას. პრაქტიკის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პირად საქმეებში არსებული შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებული იყო მილევადი რეჟიმის  პროგრამის ფარგლებში. ხელშეკრულებები შეიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ არსებით პირობებს და აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის საფუძველს, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში დაწესებულებას აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად განმახორციელებელ პირებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების პრაქტიკა.
ზემოაღნიშნულის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ახალგაზრდული საქმიანობა“ განხორციელებისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, კვალიფიკაცია და სამუშაო დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, ორგანიზებულ და ხარისხიან განხორციელებას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობებს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, მასწავლებელთა უმეტესობას პროფესიული განათლების სფეროში მრავალწლიანი პრაქტიკული და პედაგოგიური გამოცდილება აქვს.

ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტრენინგები შეფასების სისტემის, სწავლების მეთოდოლოგიისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის (კალენდარული გეგმების შემუშავების) მიმართულებით, ასევე, მონაწილეობა აქვთ მიღებული უნარების სააგენტოსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, ჩართულნი არიან მოდულური პროგრამების ადაპტირებისა და შემუშავების, ასევე სასწავლო რესურსების განახლების პროცესში. მათ აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება და მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლის, ფაქტობრივი გარემოებების გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს გააჩნიათ პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და მათი შეფასების კომპეტენცია.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

**4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შიდა მარეგულირებელი წესით განსაზღვრული პროგრამის ხელმძღვანელი, გასაუბრების, სამუშაო აღწერილობისა და პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს შესაბამის დარგობრივ კომპეტენციას და აქვს როგორც აკადემიური ცოდნა, ასევე პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს საკვანძო აკადემიურ და ადმინისტრაციულ რგოლს, რომელიც პასუხისმგებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვაზე, ეფექტიან განხორციელებაზე, სწავლების ხარისხის მონიტორინგსა და მის მუდმივ განვითარებაზე, დადგენილი სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.პროგრამის ხელმძღვანელს უდასტურდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება. „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება დაწესებულების სამკითხველო დარბაზში რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში. მათ შეუძლიათ ისარგებლონ სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

**6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

დაწესებულებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (დამტ. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის №36 დადგენილებით) გაწერილი აქვს სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმის ღონისძიებები. აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს: აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს: საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ადამიანური (სასწავლო პროცესის ასისტენტი, ინდივიდუალური ასისტენტი, მძღოლი და სხვა.) და მატერიალური რესურსის მობილიზებას და უზრუნველყოფს სსსმ პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს „სსსმ პირთათვის სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები“ (დამტ. წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 29 დეკემბრის №53 დადგენილებით), სადაც გაწერილია, რომ სსსმ და შშმ სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის/ინკლუზიური განათლების სპეციალისტის / ასისტენტის მეშვეობით. დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ასისტენტის, შშმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირის (ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის) ჩართვას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ინკლუზიური განათლების მიმართულებით პასუხისმგებელ პირს. პირადი საქმის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე დადასტურდა, რომ მას გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის, ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი სერვისების კოორდინაციისათვის. გასაუბრებისას ასევე დადასტურდა მისი ინფორმირებულობა ინკლუზიური განათლების პრინციპების, მხარდამჭერი მექანიზმებისა და დაწესებულებაში მოქმედი პროცედურების შესახებ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია.**

### 7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

უნივერსიტეტი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსების მექანიზმის ფარგლებში. აღნიშნული ფინანსური მოდელი ქმნის პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსების უზრუნველყოფის საფუძველს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობას.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავლებში გათვალისწინებულია - ვაუჩერული დაფინანსება; ხარჯებში - მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსებიდან), სასწავლო მასალა, პროგრამის განვითარებისკენ მიმართული ხარჯი (პერსონალის, სტუდენტის მხარდაჭერა და პროფესიული განათლების მიზნებისკენ მიმართული სხვა ხარჯი). აღნიშნული ბიუჯეტით პროგრამის რენტაბელობის ზღვარი არის 9 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ახალგაზრდული საქმიანობა" დამტკიცებული სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლოის 29 ივნისის N39 დადგენილებით;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- სასწავლო გეგმა;
- შესყიდვის აქტები;
- პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- „სსსმ პირთათვის სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები"
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

დაწესებულებას სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების და განვითარების მექანიზმები.პროგრამის შეფასების/ანალიზის დროს დგინდება პროგრამის შესაბამისობა შემდეგ კრიტერიუმებთან:

ა) სასწავლო რესურსის შესაბამისობა მოდულების სწავლის შედეგებთან - სასწავლო რესურსი უნდა იყოს მისაღწევი სწავლის შედეგების რელევანტური. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაში მატერიალური ან/და ელექტრონული სახით;

ბ) მატერიალური რესურსის შესაბამისობა მოდულების სწავლის შედეგებთან - მატერიალური რესურსი უნდა იყოს მისაღწევი სწავლის შედეგების რელევანტური, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისი;

გ) სწავლების მეთოდების რელევანტურობა სწავლის შედეგებთან მიმართებით და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობა;

დ) პროგრამის მოდულების შინაარსის შესაბამისობა სწავლის შედეგებთან;

ე) პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა (მოწმდება რამდენი კურსდამთავრებული და პროფესიული სტუდენტი დასაქმდა პროგრამის მიმართულებით/პროფესიით)

ვ) პროფესიულ სტუდენტთა მოძრაობის სტატისტიკა (ფასდება რამდენი პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა პროგრამაზე, რამდენმა დაამთავრა, რა იყო მათი სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის/მობილობის მიზეზი).

ზ) პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციის შესაბამისობა მათ მიერ განხორციელებული მოდულების სწავლის შედეგებთან;

თ) საჭიროების შემთხვევაში სხვა კრიტერიუმებთან (მაგალითად: წარმოებული სასწავლო დოკუმენტაციის ხარისხი - კალენდარული გეგმა, შედეგების შეფასების უწყისი, საგანმანათლებლო პროგრამებიდან პროფესიულ სტუდენტთა გადინების (სტატუსის შეწყვეტა, სტატუსის შეჩერება) მაჩვენებელი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე აპლიკანტთა რაოდენობის ცვლა (კლება, მატება); პროფესიული სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი, შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასებების ანალიზი (არსებობის შემთხვევაში).
პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ინსტრუქტორებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვას, რისთვისაც იყენებს კითხვარებს (კონკრეტული საჭიროებების მიხედვით). ასევე, შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეთოდი და პირისპირ ინტერვიუ.
პროგრამის შეფასება ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, (მასწავლებლის შეფასება, სწავლის შედეგების შეფასება (ვერიფიკაცია), გამოკითხვები, ფოკუს ჯგუფები, ინტერვიუები), რომლებიც რეგულირდება დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, პერიოდულად, თითოეული მოდულის/განმახორციელებლის გათვალისწინებით ან ვერიფიკაციის წესის შესაბამისად, რისკ ფაქტორებიდან გამომდინარე, ესწრება სასწავლო პროცესს, საკონტაქტო საათის განმავლობაში. პროფესიულ პროგრამებზე ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი ააანალიზებს შეგროვებულ მონაცემებს. ანალიზის შედეგად იძლევა პროგრამის განვითარების რეკომენდაციებს. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გაიცეს რეკომენდაცია პროგრამის გაუქმების თაობაზე. საჭიროების შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს ინიცირება მოდულში ცვლილებების თაობაზე. ეს შეიძლება იყოს სწავლების მეთოდების კორექტირება, შეფასების ინსტრუმენტის შეცვლა შეფასების მიმართულების ფარგლებში, სწავლის შედეგებზე საათების გადანაწილების კორექტირება, საგანმანათლებლო რესურსების ან თემატიკის ცვლილება და სხვა.
წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრებების შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, შესაბამისი სექტორის განვითარების ტენდენციები და დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციები. ასევე, პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისას დაწესებულება ეყრდნობა პროფესიული განათლების სფეროში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც ხელს უწყობს პროგრამის აქტუალობის, ხარისხისა და შრომის ბაზართან შესაბამისობის უზრუნველყოფას.
ზემოაღნიშნულის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმი სრულად ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს, პროფესიული განათლების თანამედროვე ტენდენციებსა და საუკეთესო პრაქტიკას, რაც ქმნის პროგრამების უწყვეტი გაუმჯობესებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საფუძველს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.3.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“, რომლის მე-6 მუხლში გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის მექანიზმები და პროცედურა. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია: პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი მექანიზმებით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, ასევე სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე დასაბუთებული წერილობითი ინიციატივა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსის, პროგრამის ხელმძღვანელის, პრაქტიკის ობიექტის/ სასწავლო საწარმოს ან/და დამსაქმებლების, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.3.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ახალგაზრდული საქმიანობა“ განხორციელებისათვის შემუშავებულია სასწავლო გეგმა, რომელიც შედგენილია სტანდარტის მოთხოვნების დაცვით და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს:

- ასახავს მოდულების თანმიმდევრობას;
- განსაზღვრავს თითოეული მოდულის განხორციელების კვირეობრივ განრიგს;
- უზრუნველყოფს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მკაფიო გაწერას;
- დაცულია პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გონივრული ოდენობა;

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მიდგომას იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხება არაქართულენოვანი სტუდენტები. მათთვის გათვალისწინებულია ქართული ენის შემავსებელი მოდული, რაც უზრუნველყოფს:

- სასწავლო პროცესში თანაბარ ჩართულობას;
- პროფესიული ლექსიკის დაუფლებას;
- სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 5 ზოგად მოდულს - ჯამური 13 კრედიტის მოცულობით და 8 პროფესიულ მოდულს ჯამური 106 კრედიტის მოცულობით. უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 119 კრედიტის დაგროვება.

იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით, სავალდებულოა მოდულების - “ქართული ენა A2“ (15 კრედიტი) და ქართული ენა B1 (15 კრედიტი) გავლა. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით და კრედიტთა ჯამური რაოდენობა შეადგენს 149 კრედიტს.

- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 119 კრედიტი
- არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის-149 კრედიტი
- ქართული ენის მოდულები- A2- (15 კრედიტი), B1 (15 კრედიტი), - 30 კრედიტი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლის ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვისშადგენს 26 სასწავლო თვეს, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 33 სასწავლო თვეს.

სასწავლომ გეგმის შესაბამისად, პროგრამა შედგენილია სამი სასწავლო წლისგან.

ექსპერტთა მხრიდან სასწავლო გეგმისა და მოდულების დეტალური ანალიზის საფუძველზე, გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ სწავლის შედეგების მიღწევის ეფექტიანობისათვის შეიცვალოს დარგობრივი მოდულების თანმიმდევრობა სასწავლო გეგმაში. კერძოდ;

- პირველ სასწავლო წელს ისწავლებოდეს: „ახალგაზრდული საქმიანობის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება“, „ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების შესწავლა“ და „საკვანძო კომპეტენციების განვითარება“;
- მეორე წელს: „არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება“, „პიროვნული და სოციალურ-ემოციური განვითარება“, „ახალგაზრდულ საქმიანობაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა“, „ახალგაზრდული პროექტების განხორციელება“,
- „მეწარმეობისა“ და „ახალგაზრდული მუშაკის პროფესიული განვითარების“ მოდულები გადავიდეს მესამე წელს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.1. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, თუმცა გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ სწავლის შედეგების უფრო ეფექტიანად მიღწევის მიზნით, მიზანშეწონილია სასწავლო გეგმაში დარგობრივი მოდულების თანმიმდევრობის გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ახალგაზრდული საქმიანობის შესწავლის ლოგიკური ჯაჭვი – საფუძვლიანი ცოდნისა და უნარების ეტაპობრივი განვითარებიდან უფრო კომპლექსური პროფესიული კომპეტენციების ჩამოყალიბებამდე. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების თანმიმდევრულ და ეფექტიან მიღწევას.

**2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისი № 36 დადგენილებით დამტკიცებულია ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის VI თავით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები. დაწესებულება სასწავლო პროცესს გეგმავს და ახორციელებს პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და მხარდაჭერის მიზნით დაწესებულებაში ხორციელდება:პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო, გაცნობითი შეხვედრების ორგანიზება. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო/საორიენტაციო შეხვედრები ტარდება იმ შემთხვევებშიც, როდესაც: ა) იცვლება პროგრამა; ბ) იცვლება სასწავლო გარემო (დუალური და კოოპერაციული პროგრამის შემთხვევაში); გ) იგეგმება შუალედური შეფასება და საკვალიფიკაციო გამოცდა; დ) არსებობს მოთხოვნა პროფესიულ სტუდენტთა მხრიდან ნებისმიერი საკითხის განხილვის თაობაზე; ე) არსებობს მოთხოვნა დასაქმებასთან/სტაჟირებასთან დაკავშირებით; ვ) არსებობს სხვა გარემოება, როცა სავალდებულოა პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალური ან/და ჯგუფურ შეხვედრების ორგანიზება;. საჭიროების შემთხვევაში, არასრულწლოვან/ქმედუუნარო/შეზღუდულქმედუნარიან პროფესიულ სტუდენტთა მიმართებაში დაწესებულება უზრუნველყოფს ინდივიდუალურ შეხვედრებს სტუდენტთა კანონიერ წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს კოორდინაციას უწევს უწევს პროფესიული განათლების ზუგდიდის/სენაკის ცენტრის სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი ან/და პროგრამის ხელმძღვანელი.პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება: პირისპირ კომუნიკაცია, ელ-ფოსტა, სოციალური ქსელის შიდა ჯგუფები.

კომუნიკაციის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და საშუალებას აძლევს დაწესებულებას სწრაფად და ეფექტიანად მოახდინოს რეაგირება მათ მოთხოვნებზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრებების საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის ორგანიზებას, გააჩნია სტუდენტთა მხარდაჭერის განსაზღვრული მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში მოქნილად რეაგირებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ და ჯგუფურ საჭიროებებზე.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.2. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

პროგრამის შესაბამისი სასწავლო რესურსი და მატერიალური ბაზა იძლევა იმის გარანტიას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით, ასევე ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები /თანამედროვე ტექნოლოგიები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ არა ერთი ტრენინგი სწავლების მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით და აქვთ სწავლების პრაქტიკული გამოცდილება. ასევე გასაუბრების დროს დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ სოციალურ ქსელში არსებულ ჯგუფებში და ელექტრონულ ფოსტაზე პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო რესურსების/ელექტრონული მასალების გაზიარების შესაძლებლობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული არცერთი მოდული ამჟამად დისტანციური ფორმით არ ხორციელდება. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულება უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების განხორციელებისთვის შესაბამისი მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას, მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნულის შესახებ დაწესებულება დადგენილი წესით აცნობებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ამასთან, დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების დანერგვისთვის შესაბამისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და ტექნიკური მექანიზმების შემუშავებას. აღნიშნული პროცესი განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, პროფესიული განათლების მარეგულირებელი აქტებისა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნების შესაბამისად.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ამჟამად არ ხორციელდება დისტანციური ფორმით, დაწესებულებას გააზრებული აქვს საჭიროების შემთხვევაში დისტანციური სწავლების დანერგვისთვის აუცილებელი ორგანიზაციული და მარეგულირებელი წინაპირობების შექმნის მნიშვნელობა და მზადყოფნას გამოთქვამს შესაბამისი მექანიზმების შემუშავებისა და დანერგვისათვის.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისი № 36 დადგენილებით დამტკიცებულა ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელშიც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესაბამისად რეაგირების მექანიზმები, როგორიცაა: ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა, ადმინისტრაციული მხარდაჭერა, სასწავლო და შეფასების პროცესის დაგეგმვისას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისიწინება, მობილობისა, სტატუსის აღდგენის და განათლების აღიარების პროცედურები და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტი ქმნის საფუძველს, რომ სასწავლო პროცესი განხორციელდეს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომით და თითოეულ სტუდენტს მიეცეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა განსხვავებულ შესაძლებლობებს, წინარე განათლებასა და პროფესიულ გამოცდილებას, საგანმანათლებლო საჭიროებებსა და ინდივიდუალურ გამოწვევებს. საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მოქნილ ორგანიზებას მისი საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.
დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, მათ შორის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, შესაბამის პროცედურებში დახმარებასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების დროულ გადაწყვეტას როგორც ადაპტაციის ეტაპზე, ისე პროგრამის განხორციელების პერიოდში.
სასწავლო და შეფასების პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების ინტერესები და ინდივიდუალური საჭიროებები. შეფასების პროცესი ეფუძნება მოქნილობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა შესაბამისი მხარდაჭერა სწავლის შედეგების დასადასტურებლად.
პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას ასევე უზრუნველყოფს დაწესებულებაში მოქმედი პროცედურები, რომლებიც არეგულირებს მობილობას, სტატუსის აღდგენას, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების აღიარებასა და სწავლის პროცესში წარმოშობილი განსაკუთრებული გარემოებების მართვას. აღნიშნული პროცესები ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელის, სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებების დაცვასა და სასწავლო პროცესში მათ უწყვეტ ჩართულობას.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებით დადასტურდა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები იცნობენ პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ ინდივიდუალურ მხარდაჭერას. პროგრამის ხელმძღვანელები და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები პროფესიულ სტუდენტებთან მუდმივი კომუნიკაციის საფუძველზე დროულად ავლენენ სწავლის პროცესში წარმოშობილ საჭიროებებს და ახორციელებენ შესაბამის რეაგირებას.
წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრებების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას გააჩნია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების შესაბამისი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში თანაბარი შესაძლებლობების შექმნას, სტუდენტთა მხარდაჭერას და პროფესიული განათლების ხარისხიან განხორციელებას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ახალგაზრული საქმიანობა“ ხორციელდება კოოპერაციული სწავლების ფორმით. პროგრამის მოდულების: ,,ახალგაზრდულ საქმიანობაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა“, ,,ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების შესწავლა“,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„ახალგაზრდული საქმიანობის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება“, „ახალგაზრდული პროექტების განხორციელება“ და „არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები ოთხ (4) პარტნიორ ორგანიზაციასთან:

- ა(ა) იპ საქართველოს სტუდენტური პარლამენტი და მთავრობის სენაკის წარმომადგენლობა - 2026 წლის 24 ივნისი, N2/4 ხელშეკრულება
- ა(ა) იპ სენაკის მუნიციპალიტეტი სმოსწავლე-ახალგაზრდობისა კულტურის ცენტრი - 2026 წლის 18 ივნისი, N2/1 ხელშეკრულება
- სსიპ თემურ ბოკუჩავას აფხაზეთის №7 საჯარო სკოლა - 2026 წლის 26 ივნისი, N2/3 ხელშეკრულება
- სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 2026 წლის 23 ივნისი, N2/2 ხელშეკრულება

წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით დასტურდება, რომ თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან არ შემოიფარგლება მხოლოდ პრაქტიკული გარემოს უზრუნველყოფით, არამედ მოიცავს მხარეთა კონკრეტულ პასუხისმგებლობებს, პრაქტიკული სწავლების ორგანიზების პირობებს, პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებსა და სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობის ღონისძიებებს.

ხელშეკრულებებით განსაზღვრულია პარტნიორი ორგანიზაციების ვალდებულებები, მათ შორის:

- პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი სამუშაო გარემოსა და სასწავლო სივრცის უზრუნველყოფა;
- სტუდენტების ჩართვა ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულებით დაგეგმილ რეალურ აქტივობებში;
- პრაქტიკული დავალებების შესრულების პროცესში სტუდენტთა მხარდაჭერა და ზედამხედველობა;
- შესაბამისი კომპეტენციის მქონე თანამშრომლების/სპეციალისტების ჩართულობა სტუდენტების პრაქტიკული საქმიანობის წარმართვის მიზნით;
- უსაფრთხო და სწავლის შედეგებზე ორიენტირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- დაწესებულებასთან თანამშრომლობა სტუდენტთა პროგრესისა და მიღწეული კომპეტენციების შეფასების პროცესში.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციების დათვალიერება და შეხვდა მათ წარმომადგენლებს. ადგილზე ვიზუალური დათვალიერებისა და გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პარტნიორ ორგანიზაციებს გააჩნიათ პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ადამიანური რესურსი და ორგანიზაციული შესაძლებლობები პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული სწავლების უზრუნველსაყოფად.

პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუებისას გამოიკვეთა მათი მზაობა პროფესიული სტუდენტების მიღებისა და პრაქტიკული საქმიანობის პროცესში ჩართულობისათვის. დადასტურდა, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ ახალგაზრდული საქმიანობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაგეგმვისა და განხორციელების რეალურ პროცესებს, ჩაერთონ ახალგაზრდებთან მუშაობის სხვადასხვა ფორმატში, განახორციელონ საჭიროებების კვლევა, მონაწილეობა მიიღონ საგანმანათლებლო და სოციალური აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ პარტნიორი ორგანიზაციები წარმოადგენენ ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულებით მოქმედ რეალურ სამუშაო გარემოს, სადაც სტუდენტები შეძლებენ პროგრამით განსაზღვრული პროფესიული უნარების პრაქტიკაში გამოყენებას. აღნიშნული თანამშრომლობა ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების პროფესიულ სოციალიზაციას, სამუშაო ეთიკის ჩამოყალიბებას, კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილების მოთხოვნათა დაცვით, ყველა ხელშეკრულება მოქმედია. მათში მკაფიოდ არის განსაზღვრული მხარეთა ვალდებულებები, პრაქტიკის განხორციელების პირობები და სტუდენტთა ის რაოდენობა, რომლის მიღებაც თითოეულ პარტნიორ ორგანიზაციას შეუძლია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ქმნის სათანადო საფუძველს პროგრამის „ახალგაზრდული საქმიანობა“ კოოპერაციული სწავლების ფორმით ეფექტიანად განხორციელების და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას რეალურ სამუშაო გარემოში მიღებული პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სპეციფიურ უსაფრთხოებას არ საჭიროებს. პროგრამით განსაზღვრული მოდულები განხორციელდება დაწესებულების აუდიტორიებში(სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო) და პარტნიორი ორგანიზაციის ბაზებზე. დაწესებულებას ზოგადი უსაფრთხოების ნორმები გაწერილი აქვს „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტში“ (დამტ. წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 29 დეკემბრის N53 დადგენილებით), ხოლო პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.6 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“*
- *„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“,*
- *საგანმანათლებლო პროგრამის „ ახალგაზრდული საქიამიანობა“ სასწავლო გეგმა;*
- „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი“
- *პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;*
- *დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;*
- *პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.*

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისი № 36 დადგენილებით დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესი. რომლის მიხედვითაც ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. პროფესიული სტუდენტებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია მოდულის შესაბამისად და იგი წინასწარ არის ცნობილი პროფესიული სტუდენტებისთვის. მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას, სადაც დგინდება/მოწმდება მისი შესაბამისობა მოდულით განსაზღვრულ შედეგების კრიტერიუმებთან, მტკიცებულებებსა და შეფასების მიმართულებებთან. ვალიდაციის პროცედურაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონაწილეობის ვალდებულება აქვს ვალიდაციის ჯგუფს. ვალიდაციის ჯგუფში შედიან: შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები/მოდულის განმახორციელებლები, სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი/პირები. შეფასების პროცესამდე მინიმუმ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოდულის განმახორციელებელი ვალიდაციისთვის შესაბამის პირებს უგზავნის/წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს. ვალიდაციის პროცესს კოორდინირებას უწევენ სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი; ხარვეზის დადგენისათვის ვადა განისაზღვრება 2 (ორი) დღით. ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი რეკომენდაციით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს/მოდულის განმახორციელებელს, რომელიც ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული ვერსია. პროგრამის ხელმძღვანელს/პროფესიული განათლების მასწავლებლებს ვალიდაციის ან/და ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება ეკისრება შრომითი ხელშეკრულებით. პროფესიული სტუდენტის შეფასებამდე ვალიდაციისას მიმდინარეობს კომუნიკაცია ზეპირი/ელექტრონული ფორმით.

წარმოდგენილი რეგულაციები და შეფასების პროცედურები ადასტურებს, რომ დაწესებულებაში შექმნილია პროფესიული სტუდენტების შეფასების გამჭვირვალე, სამართლიანი და ხარისხზე ორიენტირებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების ობიექტურ შეფასებასა და პროფესიული კომპეტენციების დადასტურებას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.2.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, (დამტ. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2025 წლის 26 აგვისტოს №41 დადგენილებით). აღნიშნული მექანიზმის თანახმად დაწესებულება ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შეფასების შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). პროცესის სირთულიდან გამომდინარე, ვერიფიკაცია ხდება შერჩევითი პრინციპით. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შეიმუშავებს რისკების სისტემას. ეს შესაძლოა იყოს: დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი, სანდო პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა, საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება და სხვა. ვერიფიკაციის პროცესს ხელმძღვანელობს პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ვერიფიკაციის იმ ნაწილს განახორციელებს, რაც დარგის კომპეტენციას არ მოითხოვს. ვერიფიკაციის პროცესში იმ ნაწილს, რომელიც დარგის ცოდნას მოითხოვს, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით, მონაწილეობს დარგის სპეციალისტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში მოქმედი ვერიფიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ხარისხის კონტროლსა და შეფასების სისტემის სანდოობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.2.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

დაწესებულებას „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" დადგენილი აქვს მტკიცებულების შენახვის წესი და ვადები. მტკიცებულებები დაცულია და ინახება მოდულის შესაბამისი უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შემდგომ ნადგურდება სასწავლო უნივერსიტეტში შესაბამისი წესით. მტკიცებულებებიდან საუკეთესო შესაძლებელია გადაეცეს უნივერსიტეტის არქივს ან სურვილისებრ პროფესიულ სტუდენტს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.2.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დაწესებულებას „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმში" (დამტ. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2025 წლის 26 აგვისტოს №41 დადგენილებით) გაწერილი აქვს სტუდენტთა შეფასების შედეგების სტუდენტების შემდგომი განვითარებისათვის გამოყენების მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით ხორციელდება: ა) აკადემიური გამოწვევის იდენტიფიცირების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელის ან/და მოდულის განმახორციელებლის მიერ სტუდენტისთვის ინდივიდუალური მხარდაჭერის საჭიროების იდენტიფიცირება (კონსულტაციის გაწევა, მასალების დამატებით მიწოდება, სხვა დამხმარე აქტივობები) ბ) წარმატებული სტუდენტების შემდგომი განვითარებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით, პროფესიული სტუდენტისთვის დამატებითი წამახალისებელი აქტივობების შეთავაზება (კონკურსები, კონფერენციები, მასტერკლასები, სტიპენდია, ვორქშოპები, პროექტები და ა.შ.).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებზე მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.2.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- *გასაუბრების შედეგები.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ადმინისტრაციული სერვისები“**

**ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები**

**I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა  შეფასება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*წარმოების ფარგლებში ხარვეზი არ გამოვლენილა.*

## III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გამოვლენილა

## IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

*წარმოების ფარგლებში განმავითარებელი  რეკომენდაცია არ გაცემულა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[redacted]

### V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

**სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენციით (2026 წლის 24 აგვისტოს წერილი N0001084858) დგინდება, რომ დაწესებულება ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.**

### ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

### II. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ადმინისტრაციული სერვისები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ადმინისტრაციულ სერვისებში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0413 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | 2026 წლის 29 ივნისი, აკადემიური საბჭოს დადგენილება №39 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. სენაკი, მშვიდობის ქუჩა N192 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 70 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 100 |

**II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

**ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**
**1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი „ადმინისტრაციული სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება სრულ შესაბამისობაშია სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან, რაც გულისხმობს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერას შრომის ბაზარზე ორიენტირებული კადრების მომზადების გზით. აღნიშნული პროგრამის დანერგვა წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის იმ უმთავრესი ამოცანის რეალიზებას, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ თვითმმართველობასა და კერძო სექტორთან მჭიდრო პარტნიორობას და საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსობრივი ხელმისაწვდომობის გაზრდას რეგიონში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“ სრულად შეესაბამება დაწესებულების საგანმანათლებლო პროფილსა და სტრატეგიულ მიზნებს. უნივერსიტეტის მისია ითვალისწინებს რეგიონის საჭიროებებზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი ტექნიკური და პროფესიული კადრების მომზადებას. პროგრამა შემუშავებულია დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტის -„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ შესაბამისად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის სათანადო დასაბუთება, მათ შორის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების“ დაგეგმვისა და შემუშავების მიზანშეწონილობის ცხრილი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის განხორციელების აუცილებლობა ეფუძნება ეროვნულ დონეზე „ადმინისტრაციული სერვისების" პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებზე მოთხოვნა დასტურდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევით". აღნიშნული ეროვნული კვლევის მონაცემებით, „ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები" სტაბილურად მიეკუთვნება შრომის ბაზარზე ვაკანსიების რაოდენობითა და ახალი სამუშაო ძალის მოთხოვნით ერთ-ერთ წამყვან და მოცულობით სექტორს. საწარმოთა ანალიზი აჩვენებს, რომ როგორც კერძო, ისე საჯარო ორგანიზაციების საოპერაციო ეფექტიანობისთვის კრიტიკულად მოთხოვნადია საოფისე დოკუმენტბრუნვის, ბიზნეს-კომუნიკაციისა და ციფრული ადმინისტრაციული სერვისების მართვის უნარები. უნივერსიტეტის სამოქმედო არეალში (სამეგრელოს რეგიონში) „ადმინისტრაციული სერვისების" პროგრამაზე მოთხოვნა დასტურდება ადგილობრივი პარტნიორების ოფიციალური მომართვებითა და შრომის ბაზრის კვლევით: მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური წერილის თანახმად, მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში, კვალიფიციური კადრების დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით, „ადმინისტრაციული სერვისები" (მოქალაქეთა მომსახურების მაღალი სტანდარტის დანერგვა) მიჩნეულია კრიტიკულ პრიორიტეტად. ასევე სავაჭრო ცენტრ „ზუგდიდი მოლის" და კლინიკა შპს „სენამედის" ოფიციალური მიმართვა ადასტურებს, რომ ბიზნესის ზრდასთან ერთად არსებობს ადმინისტრაციული მიმართულებით კვალიფიციური პერსონალის მომზადების მწვავე და რეალური საჭიროება შესაბამისად, პროგრამა სრულად შეესაბამება ეროვნულ დონეზე იდენტიფიცირებულ სამუშაო ძალის საჭიროებებსა და ბაზრის მიმდინარე ტენდენციებს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ ადმინისტრაციული სერვისების" დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს და მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამაზე დაშვების ძირითად წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება. პროფესიულ სტუდენტთა პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პროცედურები რეგულირდება შიდა მარეგულირებელი აქტით -,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი" (დამტ. სსიპ -



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის №36 დადგენილებით), წინაპირობებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების ლოგიკური ჯაჭვი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტის წინარე ცოდნა იყოს ადეკვატური საიმისოდ, რათა პროგრამით განსაზღვრულ ვადებში (სწავლების ინტენსივობის გათვალისწინებით) ეტაპობრივად მიღწეულ იქნეს ყველა პროფესიული კომპეტენცია.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის შესაბამისი მარეგულირებელი აქტით ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესით" (დამტკიცებულია : წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 29 დეკემბრის N53 დადგენილებით), რომლის მიხედვითაც სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება არსებული რესურსის გათვალისწინებით. წინამდებარე წესის მიხედვით, უნივერსიტეტი სასწავლო პროცესს წარმართვს ორ მუნიციპალიტეტში, შემდეგ მისამართებზე: ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14 და სენაკი, მშვიდობის ქ.N192. უნივერსიტეტში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო - A, B და C. დასაშვებია გარემოს სხვადასხვა მოდელი ერთ სივრცეშიც იყოს განთავსებული, მაგალითად, ერთ სივრცეში არსებობდეს ერთდროულად A და C, A და B, B და C, A, B და C გარემო.

A ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის. აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და კომპიუტერით ან ლეპტოპით, ასევე დემონსტრირების საშუალებით (პროექტორი ან ეკრანი ან ინტერაქტიული დაფა). შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება სწავლების შერჩეული მეთოდის გამოსაყენებლად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

B ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემებისა და რაოდენობის კომპიუტერით (1 პროფესიულ სტუდენტზე 1 კომპიუტერი), მასწავლებლის მაგიდითა და კომპიუტერით ან ლეპტოპით, პრინტერითა და დემონსტრირების საშუალებით (პროექტორი ან ეკრანი ან ინტერაქტიული დაფა). B გარემოში შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება.

C ტიპის სასწავლო გარემო - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობის შიგნით. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აღჭურვილობის ნორმატივები დადგენილია ინდივიდუალურად მოდულების შესაბამისად.

პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გარემოსა და მატერიალურ რესურსთან მიმართებაში მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოსთან მიმართებაში გათვალისწინებულია ფართი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად (არსებობის შემთხვევაში) და რესურსი პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რაოდენობის გათვალისწინებით;

უნივერსიტეტში დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელების კვირეული დატვირთვის, სხვადასხვა ცვლებში მუშაობისა და შეჭრილი ცხრილების გათვალისწინებით; კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია პროგრამისათვის გამოყოფილი სასწავლო გარემოს ოდენობა. რაც მეტია გარემო, მით მეტია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა გამტარიანობა; კვოტის განსაზღვრის დროს ძირითად შემზღუდავ ფაქტორს წარმოადგენს სასწავლო გარემოს ფართი. ის უნდა აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. რამდენიმე გარემოს არსებობის შემთხვევაში კვოტა ეყრდნობა ყველაზე მცირე მოცულობის ფართს, შესაბამისი აღჭურვილობის გათვალისწინებით; ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობა განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად, ყველა გარემოს რესურსიდან უმცირესის გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება კვოტის განსაზღვრისას ითვალისწინებს პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებელი პირის, ასევე კოოპერაციული სწავლების დროს, პრაქტიკული კომპონენტების განმახორციელებელი პირების/ინსტრუქტორის რაოდენობას. შესაძლებელია კონკრეტულმა პროფესიულმა სტანდარტმა/საგანმანათლებლო სტანდარტმა შეზღუდოს ინსტრუქტორების რაოდენობა პროფესიული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

პროგრამის ეფექტურად განხორციელებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია ერთი A ტიპის სასწავლო გარემო. პროგრამის მოდულების განხორციელებისთვის დამტკიცებულია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და რესურსების სია, რომელიც სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსების შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტთან. საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა განხორციელებულია პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების მიერ და ეფუძნება მოდულების შინაარსს, სწავლების მიზნებსა და თემატურ მიმართულებებს. არსებული მატერიალური, ადამიანური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან განხორციელებასა და პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

მონაცემების ანალიზი ადასტურებს, რომ აუდიტორიების რაოდენობა იძლევა შესაძლებლობას, თითოეული პროფესიული სტუდენტი უზრუნველყოფილი იყოს ინდივიდუალური სამუშაო ადგილით, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროფესიული კომპეტენციების ფორმირებისათვის.

ზემოაღნიშნული რესურსების, სასწავლო ფართის გამტარუნარიანობისა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოთხოვნილი 40 სტუდენტი წარმოადგენს რეალისტურ და დასაშვებ ზღვრულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაოდენობას.ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა დაწესებულების მატერიალური და ელექტრონული სასწავლო რესურსები. შეფასების შედეგად დადგინდა შემდეგი:

დაწესებულების ფლობაში არსებული სასწავლო რესურსი სრულად შეესაბამება „ადმინისტრაციული სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ძირითად სასწავლო ლიტერატურას. ბიბლიოთეკაში დაცული რესურსები პასუხობს პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

სასწავლო მასალები ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია როგორც მატერიალური (ბეჭდური), ისე ელექტრონული სახით, რაც სტუდენტებს აძლევს არჩევანის და სწავლის პროცესის მოქნილად წარმართვის შესაძლებლობას.

დაწესებულება სრულად ფლობს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ სასწავლო რესურსს, ხოლო მათი მრავალფეროვნება (მატერიალური და ციფრული) ხელს უწყობს სწავლის ხარისხის მდგრადობასა და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები” არ მოიცავს არჩევით მოდულს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, უნივერსიტეტში პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილია აკადემიური საბჭო, შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია 2026 წლის 29 ივნისი, აკადემიური საბჭოს №39 დადგენილებით(ცვლილება განხორციელდა 2026 წლის 17 ივლისის, აკადემიური საბჭოს №47 დადგენილებით.)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.6 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება მკაფიოდ და ადეკვატურად ასახავს მის შინაარსობრივ სპეციფიკას, ძირითად მიმართულებებსა და პროფესიულ ორიენტაციას. იგი სრულ თანხვედრაშია დასახულ სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების, სტრუქტურისა და მოსალოდნელი კომპეტენციების სწორ აღქმას როგორც დაინტერესებული პირების, ისე პოტენციური დამსაქმებლების მხრიდან. მოდულების შინაარსი, სტრუქტურა და შესაბამისი სწავლის შედეგები ურთიერთდაკავშირებული და თანმიმდევრულია, რაც განაპირობებს მათ სრულ შესაბამისობას პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ სფეროსთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სახელწოდება შინაარსობრივად დასაბუთებული, ზუსტი, რელევანტურია და არ არის შეცდომაში შემყვანი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.7 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

სსიპ -შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი „ადმინისტრაციული სერვისები“ პროგრამა შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული რეგულაციების (სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება - დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის ბრძანება №131/ნ-ით; „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ დამტკიცებული 2026 წლის 26 ივნისის № 36 დადგენილებით სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო მიერ. „აკადემიური საბჭოს დებულება“ დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2024 წლის 23 დეკემბრის N69 დადგენილებით. )პროგრამა ეფუძნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს - ,,ადმინისტრაციული სერვისები“ (სარეგისტრაციო ნომერი 04.3.1) და სრულად შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ყველა სავალდებულო ელემენტს: მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, დაშვების წინაპირობებს,სწავლის შედეგებსა და მათ დეტალურ აღწერას, შეფასების სისტემას, სწავლების მეთოდოლოგიას, დასაქმების სფეროებს,ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ, პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმა, მოდულები, წარმოდგენილია ინფორმაცია მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ. პროგრამაში ინტეგრირებულია ქართული ენის მოდული (A2 და B1 დონე). აღნიშნული კომპონენტი უზრუნველყოფს არაქართულენოვანი სტუდენტების მომზადებასა და მათ სრულფასოვან ჩართვას სასწავლო პროცესში, რაც უნივერსიტეტის ინკლუზიურ გარემოზე მიუთითებს. პროგრამა მოიცავს საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის განსაზღვრულ მოდულებს, სულ 70 კრედიტის მოცულობით - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის და 100 კრედიტს - არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.8 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- 2026 წლის 29 ივნისის, აკადემიური საბჭოს №39 დადგენილებით, დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“
- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის N36 დადგენილებით
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“
- „სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დებულება“ დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2024 წლის 23 დეკემბრის N69 დადგენილებით
- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება - დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის ბრძანება №131/ნ-ით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“ დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2024 წლის 29 დეკემბრის N53 დადგენილებით;
- „სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2024-2030 წლების სტრატეგიული დოკუმენტი“, დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2024 წლის 23 დეკემბრის N82 დადგენილებით.
- პროფესიული პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ვიზუალური დათვალიერება;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

შეფასების პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, სასწავლო გარემოს ვიზუალური დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“ უზრუნველყოფილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და პრაქტიკული სასწავლო რესურსებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ადმინისტრაციული სერვისები“ ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში კოოპერაციული სწავლების ფორმით. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის გამოყოფილია შესაბამისი გარემო. აუდიტორია №309-ში მოწყობილია A გარემო, აუდიტორია აღჭურვილია ციფრული სადემონსტრაციო საშუალებებით (კომპიუტერი, პროექტორი), რაც იძლევა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მეცადინეობების ინტერაქტიულად ჩატარების შესაძლებლობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 40 პროფესიული სტუდენტით. ერთ მიღებაზე, ჯგუფში 20 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით, სწავლება ხორციელდება ორ ცვლაში. ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 70 კრედიტი და პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 16 სასწავლო თვეს, ხოლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 100 კრედიტი და 22 სასწავლო თვეს. მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე ჯგუფში.

დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო სივრცეებითა და საჭირო ინვენტარით, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, განივითარონ პროფესიული კომპეტენციები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული კომპონენტი ხორციელდება უნივერსიტეტის ბაზაზე, ხოლო პროგრამის მოდული:„საწარმოო პრაქტიკა - ადმინისტრაციული სერვისები" ხორციელდება პარტნიორ (თანაგანმახორციელებელ) ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. უნივერსიტეტი თანამშრომლობს ორ პარტნიორ ორგანიზაციასთან, რომელთანაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ესენია:

- სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
- შპს ,,სენამედი"

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა პრაქტიკის ობიექტების ადგილზე. განხორციელდა პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება და პერსონალთან გასაუბრება. გასაუბრებისას დადასტურდა, რომ პრაქტიკის ობიექტებს აქვს მზაობა და შესაბამისი რესურსი, რომ მიიღოს 20 პროფესიული სტუდენტი(ორ ჯგუფად), საიდანაც ერთდროულად პრაქტიკას 10 პროფესიული სტუდენტი გაივლის.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის მიერ გამოყენებული მატერიალური რესურსები, სასწავლო გარემოები და პარტნიორი ორგანიზაციების პრაქტიკული ბაზა სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ადმინისტრაციული სერვისები" განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კოოპერაციული სწავლების ფორმატი და რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების პროფესიული კომპეტენციების განვითარებას და მათ მომზადებას ადმინისტრაციული საქმიანობის სფეროში დასაქმებისთვის.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„ადმინისტრაციული სერვისები“, განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 21 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 10 პროფესიული მოდულების, 11 ზოგადი მოდულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. წარმოდგენილი მასალებითა და გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებას რიგ მოდულებზე ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით განმახორციელებელ პირებთან დადებულია შეთანხმებები, რომლებიც ითვალისწინებს ავტორიზაციის მიღების შემდეგ შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებას. პრაქტიკის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პირად საქმეებში არსებული შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებული იყო მილევადი რეჟიმის პროგრამის ფარგლებში. ხელშეკრულებები შეიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ არსებით პირობებს და აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის საფუძველს, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში დაწესებულებას აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად განმახორციელებელ პირებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების პრაქტიკა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობებს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით განსაზღვრული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, მასწავლებელთა უმეტესობას პროფესიული განათლების სფეროში მრავალწლიანი პრაქტიკული და პედაგოგიური გამოცდილება აქვს.

ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტრენინგები შეფასების სისტემის, სწავლების მეთოდოლოგიისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის (კალენდარული გეგმების შემუშავების) მიმართულებით, ასევე, მონაწილეობა აქვთ მიღებული უნარების სააგენტოსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, ჩართულნი არიან მოდულური პროგრამების ადაპტირებისა და შემუშავების, ასევე სასწავლო რესურსების განახლების პროცესში. მათ აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება და მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლის, ფაქტობრივი გარემოებების გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს გააჩნიათ პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და მათი შეფასების კომპეტენცია.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

**4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ადმინისტრაციული სერვისები“ ჰყავს შიდა მარეგულირებელი წესით განსაზღვრული მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს დარგის მიმართულებით მუშაობის მრავალწლიანი, ასევე მოდულების განხორციელების გამოცდილება, რაც დასტურება მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხელმძღვანელთან გასაუბრებით, სამუშაო აღწერილობისა და პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს საკვანძო აკადემიურ და ადმინისტრაციულ რგოლს, რომელიც პასუხისმგებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვაზე, ეფექტიან განხორციელებაზე, სწავლების ხარისხის მონიტორინგსა და მის მუდმივ განვითარებაზე, დარგში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების ინტეგრირებაზე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამის ხელმძღვანელს უდასტურდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება. „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი" ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება დაწესებულების სამკითხველო დარბაზში რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ინტერნეტის საშუალებით მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია, ისარგებლონ პრინტერით და სურვილის შემთხვევაში ელექტრონული ფორმატით არსებული მასალები ამობეჭდონ. მათთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის სამკითხველო სივრცე და ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურება.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

**6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

დაწესებულებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (დამტ. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის №36 დადგენილებით) გაწერილი აქვს სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმის ღონისძიებები. აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს: აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს: საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ადამიანური (სასწავლო პროცესის ასისტენტი, ინდივიდუალური ასისტენტი, მძღოლი და სხვა.) და მატერიალური რესურსის მობილიზებას და უზრუნველყოფს სსსმ პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს „სსსმ პირთათვის სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები" (დამტ. წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 29 დეკემბრის №53 დადგენილებით), სადაც გაწერილია, რომ სსსმ და შშმ სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის/ინკლუზიური განათლების სპეციალისტის / ასისტენტის მეშვეობით. დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ასისტენტის, შშმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირის (ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის) ჩართვას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ინკლუზიური განათლების მიმართულებით პასუხისმგებელ პირს. პირადი საქმის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე დადასტურდა, რომ მას გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის, ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი სერვისების კოორდინაციისათვის. გასაუბრებისას ასევე დადასტურდა მისი ინფორმირებულობა ინკლუზიური განათლების პრინციპების, მხარდამჭერი მექანიზმებისა და დაწესებულებაში მოქმედი პროცედურების შესახებ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია.**

**7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

უნივერსიტეტი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსების მექანიზმის ფარგლებში. აღნიშნული ფინანსური მოდელი ქმნის პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსების უზრუნველყოფის საფუძველს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობას. უწყვეტობას.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი მოცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავლებში გათვალისწინებულია - ვაუჩერული დაფინანსება; ხარჯებში - მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსებიდან), სასწავლო მასალა, პროგრამის განვითარებისკენ მიმართული ხარჯი (პერსონალის, სტუდენტის მხარდაჭერა და პროფესიული განათლების მიზნებისკენ მიმართული სხვა ხარჯი). აღნიშნული ბიუჯეტით პროგრამის რენტაბელობის ზღვარი არის 8 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“ დამტკიცებული სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლოის 29 ივნისის N39 დადგენილებით;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- სასწავლო გეგმა;
- შესყიდვის აქტები;
- პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- „სსსმ პირთათვის სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები“
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**
**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

დაწესებულებას სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების და განვითარების მექანიზმები.პროგრამის შეფასების/ანალიზის დროს დგინდება პროგრამის შესაბამისობა შემდეგ კრიტერიუმებთან:

ა) სასწავლო რესურსის შესაბამისობა მოდულების სწავლის შედეგებთან - სასწავლო რესურსი უნდა იყოს მისაღწევი სწავლის შედეგების რელევანტური. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაში მატერიალური ან/და ელექტრონული სახით;

ბ) მატერიალური რესურსის შესაბამისობა მოდულების სწავლის შედეგებთან - მატერიალური რესურსი უნდა იყოს მისაღწევი სწავლის შედეგების რელევანტური, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისი;

გ) სწავლების მეთოდების რელევანტურობა სწავლის შედეგებთან მიმართებით და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობა;

დ) პროგრამის მოდულების შინაარსის შესაბამისობა სწავლის შედეგებთან;

ე) პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა (მოწმდება რამდენი კურსდამთავრებული და პროფესიული სტუდენტი დასაქმდა პროგრამის მიმართულებით/პროფესიით)

ვ) პროფესიულ სტუდენტთა მოძრაობის სტატისტიკა (ფასდება რამდენი პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა პროგრამაზე, რამდენმა დაამთავრა, რა იყო მათი სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის/მობილობის მიზეზი).

ზ) პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციის შესაბამისობა მათ მიერ განხორციელებული მოდულების სწავლის შედეგებთან;

თ) საჭიროების შემთხვევაში სხვა კრიტერიუმებთან (მაგალითად: წარმოებული სასწავლო დოკუმენტაციის ხარისხი - კალენდარული გეგმა, შედეგების შეფასების უწყისი, საგანმანათლებლო პროგრამებიდან პროფესიულ სტუდენტთა გადინების (სტატუსის შეწყვეტა, სტატუსის შეჩერება) მაჩვენებელი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე აპლიკანტთა რაოდენობის ცვლა (კლება, მატება); პროფესიული სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი, შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასებების ანალიზი (არსებობის შემთხვევაში).

პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ინსტრუქტორებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვას, რისთვისაც იყენებს კითხვარებს (კონკრეტული საჭიროებების მიხედვით). ასევე, შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეთოდი და პირისპირ ინტერვიუ.

პროგრამის შეფასება ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, (მასწავლებლის შეფასება, სწავლის შედეგების შეფასება (ვერიფიკაცია), გამოკითხვები, ფოკუს ჯგუფები, ინტერვიუები), რომლებიც რეგულირდება დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, პერიოდულად, თითოეული მოდულის/განმახორციელებლის გათვალისწინებით ან ვერიფიკაციის წესის შესაბამისად, რისკ ფაქტორებიდან გამომდინარე, ესწრება სასწავლო პროცესს, საკონტაქტო საათის განმავლობაში. პროფესიულ პროგრამებზე ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი ანალიზებს შეგროვებულ მონაცემებს. ანალიზის შედეგად იძლევა პროგრამის განვითარების რეკომენდაციებს. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გაიცეს რეკომენდაცია პროგრამის გაუქმების თაობაზე. საჭიროების შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს ინიცირება მოდულში ცვლილებების თაობაზე. ეს შეიძლება იყოს სწავლების მეთოდების კორექტირება, შეფასების ინსტრუმენტის შეცვლა შეფასების მიმართულების ფარგლებში, სწავლის შედეგებზე საათების გადანაწილების კორექტირება, საგანმანათლებლო რესურსების ან თემატიკის ცვლილება და სხვა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრებების შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, შესაბამისი სექტორის განვითარების ტენდენციები და დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციები. ასევე, პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისას დაწესებულება ეყრდნობა პროფესიული განათლების სფეროში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც ხელს უწყობს პროგრამის აქტუალობის, ხარისხისა და შრომის ბაზართან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმი სრულად ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს, პროფესიული განათლების თანამედროვე ტენდენციებსა და საუკეთესო პრაქტიკას, რაც ქმნის პროგრამების უწყვეტი გაუმჯობესებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საფუძველს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.3.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ ,რომლის მე-6 მუხლში გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის მექანიზმები და პროცედურა. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი მექანიზმებით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, ასევე სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე დასაბუთებული წერილობითი ინიციატივა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსის, პროგრამის ხელმძღვანელის, პრაქტიკის ობიექტის/სასწავლო საწარმოს ან/და დამსაქმებლების, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.3.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები" განხორციელებისათვის შემუშავებულია სასწავლო გეგმა, რომელი წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურებად. დადგინდა, რომ გეგმა სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს:

- ასახავს მოდულების თანმიმდევრობას;
- განსაზღვრავს თითოეული მოდულის განხორციელების კვირეობრივ განრიგს;
- უზრუნველყოფს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მკაფიო გაწერას;
- დაცულია პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გონივრული ოდენობა;

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მიდგომას იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხება არაქართულენოვანი სტუდენტები. მათთვის გათვალისწინებულია ქართული ენის შემავსებელი მოდული, რაც უზრუნველყოფს:

- სასწავლო პროცესში თანაბარ ჩართულობას;
- პროფესიული ლექსიკის დაუფლებას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით, „ადმინისტრაციული სერვისები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.1. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისი № 36 დადგენილებით დამტკიცებულია ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის VI თავით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები. დაწესებულება სასწავლო პროცესს გეგმავს და ახორციელებს პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და მხარდაჭერის მიზნით დაწესებულებაში ხორციელდება:პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო, გაცნობითი შეხვედრების ორგანიზება. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო/საორიენტაციო შეხვედრები ტარდება იმ შემთხვევებშიც, როდესაც: ა) იცვლება პროგრამა; ბ) იცვლება სასწავლო გარემო (დუალური და კოოპერაციული პროგრამის შემთხვევაში); გ) იგეგმება შუალედური შეფასება და საკვალიფიკაციო გამოცდა; დ) არსებობს მოთხოვნა პროფესიულ სტუდენტთა მხრიდან ნებისმიერი საკითხის განხილვის თაობაზე; ე) არსებობს მოთხოვნა დასაქმებასთან/სტაჟირებასთან დაკავშირებით; ვ) არსებობს სხვა გარემოება, როცა სავალდებულოა პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალური ან/და ჯგუფურ შეხვედრების ორგანიზება;. საჭიროების შემთხვევაში, არასრულწლოვან/ქმედუუნარო/შეზღუდულქმედუნარიან პროფესიულ სტუდენტთა მიმართებაში დაწესებულება უზრუნველყოფს ინდივიდუალურ შეხვედრებს სტუდენტთა კანონიერ წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს კოორდინაციას უწევს უწევს პროფესიული განათლების ზუგდიდის/სენაკის ცენტრის სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი ან/და პროგრამის ხელმძღვანელი.პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება: პირისპირ კომუნიკაცია, ელ-ფოსტა, სოციალური ქსელის შიდა ჯგუფები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომუნიკაციის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და საშუალებას აძლევს დაწესებულებას სწრაფად და ეფექტიანად მოახდინოს რეაგირება მათ მოთხოვნებზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრებების საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის ორგანიზებას, გააჩნია სტუდენტთა მხარდაჭერის განსაზღვრული მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში მოქნილად რეაგირებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ და ჯგუფურ საჭიროებებზე.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.2. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

პროგრამის შესაბამისი სასწავლო რესურსი და მატერიალური ბაზა იძლევა იმის გარანტიას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით, ასევე ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები /თანამედროვე ტექნოლოგიები. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ არა ერთი ტრენინგი სწავლების მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით და აქვთ სწავლების პრაქტიკული გამოცდილება. ასევე გასაუბრების დროს დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ სოციალურ ქსელში არსებულ ჯგუფებში და ელექტრონულ ფოსტაზე პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო რესურსების/ელექტრონული მასალების გაზიარების შესაძლებლობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული არცერთი მოდული ამჟამად დისტანციური ფორმით არ ხორციელდება. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულება უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების განხორციელებისთვის შესაბამისი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას, მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნულის შესახებ დაწესებულება დადგენილი წესით აცნობებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ამასთან, დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების დანერგვისთვის შესაბამისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და ტექნიკური მექანიზმების შემუშავებას. აღნიშნული პროცესი განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, პროფესიული განათლების მარეგულირებელი აქტებისა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნების შესაბამისად.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ამჟამად არ ხორციელდება დისტანციური ფორმით, დაწესებულებას გააზრებული აქვს საჭიროების შემთხვევაში დისტანციური სწავლების დანერგვისთვის აუცილებელი ორგანიზაციული და მარეგულირებელი წინაპირობების შექმნის მნიშვნელობა და მზადყოფნას გამოთქვამს შესაბამისი მექანიზმების შემუშავებისა და დანერგვისათვის.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისი № 36 დადგენილებით დამტკიცებულა „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელშიც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესაბამისად რეაგირების მექანიზმები, როგორიცაა: ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა, ადმინისტრაციული მხარდაჭერა, სასწავლო და შეფასების პროცესის დაგეგმვისას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისიწინება, მობილობისა, სტატუსის აღდგენის და განათლების აღიარების პროცედურები და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტი ქმნის საფუძველს, რომ სასწავლო პროცესი განხორციელდეს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომით და თითოეულ სტუდენტს მიეცეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა განსხვავებულ შესაძლებლობებს, წინარე განათლებასა და პროფესიულ გამოცდილებას, საგანმანათლებლო საჭიროებებსა და ინდივიდუალურ გამოწვევებს. საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მოქნილ ორგანიზებას მისი საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, მათ შორის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, შესაბამის პროცედურებში დახმარებასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების დროულ გადაწყვეტას როგორც ადაპტაციის ეტაპზე, ისე პროგრამის განხორციელების პერიოდში.

სასწავლო და შეფასების პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების ინტერესები და ინდივიდუალური საჭიროებები. შეფასების პროცესი ეფუძნება მოქნილობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა შესაბამისი მხარდაჭერა სწავლის შედეგების დასადასტურებლად.

პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას ასევე უზრუნველყოფს დაწესებულებაში მოქმედი პროცედურები, რომლებიც არეგულირებს მობილობას, სტატუსის აღდგენას, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების აღიარებასა და სწავლის პროცესში წარმოშობილი განსაკუთრებული გარემოებების მართვას. აღნიშნული პროცესები ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელის, სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებების დაცვასა და სასწავლო პროცესში მათ უწყვეტ ჩართულობას.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებით დადასტურდა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები იცნობენ პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ ინდივიდუალურ მხარდაჭერას. პროგრამის ხელმძღვანელები და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები პროფესიულ სტუდენტებთან მუდმივი კომუნიკაციის საფუძველზე დროულად ავლენენ სწავლის პროცესში წარმოშობილ საჭიროებებს და ახორციელებენ შესაბამის რეაგირებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრებების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას გააჩნია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების შესაბამისი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში თანაბარი შესაძლებლობების შექმნას, სტუდენტთა მხარდაჭერას და პროფესიული განათლების ხარისხიან განხორციელებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“ ხორციელდება კოოპერაციული სწავლების ფორმით, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო დაწესებულებისა და პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციების ერთობლივ ჩართულობას პროფესიული სტუდენტებისათვის პრაქტიკული კომპეტენციების განვითარების პროცესში. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტების ეფექტიანი განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები ორ პარტნიორ ორგანიზაციასთან, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების ჩართვას რეალურ სამუშაო გარემოსთან მიახლოებულ აქტივობებში და ხელს უწყობენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

კერძოდ, პროგრამის მოდულში:

- „საწარმოო პრაქტიკა - ადმინისტრაციული სერვისები“

განხორციელებაში ჩართული არიან შემდეგი პარტნიორი ორგანიზაციები:

- სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
- შპს ,,სენამედი“

წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით დასტურდება, რომ თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან არ შემოიფარგლება მხოლოდ პრაქტიკული გარემოს უზრუნველყოფით, არამედ მოიცავს მხარეთა კონკრეტულ პასუხისმგებლობებს, პრაქტიკული სწავლების ორგანიზების პირობებს, პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებსა და სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობის ღონისძიებებს.

ხელშეკრულებებით განსაზღვრულია პარტნიორი ორგანიზაციების ვალდებულებები, მათ შორის:

- პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი სამუშაო გარემოსა და სასწავლო სივრცის უზრუნველყოფა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სტუდენტების ჩართვა ადმინისტრაციული სერვისების მიმართულებით დაგეგმილ რეალურ აქტივობებში;
- პრაქტიკული დავალებების შესრულების პროცესში სტუდენტთა მხარდაჭერა და ზედამხედველობა;
- შესაბამისი კომპეტენციის მქონე თანამშრომლების/სპეციალისტების ჩართულობა სტუდენტების პრაქტიკული საქმიანობის წარმართვის მიზნით;
- უსაფრთხო და სწავლის შედეგებზე ორიენტირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- დაწესებულებასთან თანამშრომლობა სტუდენტთა პროგრესისა და მიღწეული კომპეტენციების შეფასების პროცესში.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციების დათვალიერება და შეხვდა მათ წარმომადგენლებს. ადგილზე ვიზუალური დათვალიერებისა და გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პარტნიორ ორგანიზაციებს გააჩნიათ პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ადამიანური რესურსი და ორგანიზაციული შესაძლებლობები პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული სწავლების უზრუნველსაყოფად.

პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუებისას გამოიკვეთა მათი მზაობა პროფესიული სტუდენტების მიღებისა და პრაქტიკული საქმიანობის პროცესში ჩართულობისათვის. დადასტურდა, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ ადმინისტრაციული სერვისების დაგეგმვისა და განხორციელების რეალურ პროცესებს, ჩაერთონ დოკუმენტებთან მუშაობის სხვადასხვა ფორმატში, განახორციელონ საჭირო რესურსების კვლევა , მონაწილეობა მიიღონ რესურსების შესყიდვის პროცესში, დოკუმენტების მომზადებისა და კორესპონდენციის ორგანიზების პროცესში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ პარტნიორი ორგანიზაციები წარმოადგენენ ადმინისტრაციული სერვისების მიმართულებით მოქმედ რეალურ სამუშაო გარემოს, სადაც სტუდენტები შეძლებენ პროგრამით განსაზღვრული პროფესიული უნარების პრაქტიკაში გამოყენებას. აღნიშნული თანამშრომლობა ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების პროფესიულ სოციალიზაციას, სამუშაო ეთიკის ჩამოყალიბებას, კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ თანამშრომლობა განხორციელებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის №416 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილი ხელშეკრულებები მოქმედია და მათში მკაფიოდ არის განსაზღვრული:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მხარეთა უფლება-მოვალეობები;
- პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ფორმა და პირობები;
- პარტნიორი ორგანიზაციების მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა;
- სწავლის შედეგების მიღწევის ხელშემწყობი ღონისძიებები;
- პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოებისა და მხარდაჭერის საკითხები.

შესაბამისად, დაწესებულების მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან დამყარებული თანამშრომლობა ქმნის სათანადო საფუძველს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“ კოოპერაციული სწავლების ფორმით ეფექტიანი განხორციელებისთვის და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას რეალურ სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული პრაქტიკული გამოცდილების მიღების გზით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სპეციფიურ უსაფრთხოებას არ საჭიროებს. პროგრამით განსაზღვრული მოდულები განხორციელდება დაწესებულების აუდიტორიებში(სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო) და პარტნიორი ორგანიზაციის ბაზებზე. დაწესებულებას ზოგადი უსაფრთხოების ნორმები გაწერილი აქვს „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტში“ (დამტ. წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 29 დეკემბრის N53 დადგენილებით), ხოლო პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.6 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“*
- *„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“,*
- „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი“
- *საგანმანათლებლო პროგრამის „ ადმინისტრაციული სერვისები“ სასწავლო გეგმა;*
- *პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებები;*
- *დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;*
- *პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლთან ინტერვიურების შედეგები.*

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისი № 36 დადგენილებით დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესი. რომლის მიხედვითაც ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. პროფესიული სტუდენტებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია მოდულის შესაბამისად და იგი წინასწარ არის ცნობილი პროფესიული სტუდენტებისთვის. მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას, სადაც დგინდება/მოწმდება მისი შესაბამისობა მოდულით განსაზღვრულ შედეგების კრიტერიუმებთან, მტკიცებულებებსა და შეფასების მიმართულებებთან. ვალიდაციის პროცედურაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონაწილეობის ვალდებულება აქვს ვალიდაციის ჯგუფს. ვალიდაციის ჯგუფში შედიან: შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები/მოდულის განმახორციელებლები, სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი/პირები. შეფასების პროცესამდე მინიმუმ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოდულის განმახორციელებელი ვალიდაციისთვის შესაბამის პირებს უგზავნის/წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს. ვალიდაციის პროცესს კოორდინირებას უწევენ სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი; ხარვეზის დადგენისათვის ვადა განისაზღვრება 2 (ორი) დღით. ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი რეკომენდაციით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს/მოდულის განმახორციელებელს, რომელიც ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული ვერსია. პროგრამის ხელმძღვანელს/პროფესიული განათლების მასწავლებლებს ვალიდაციის ან/და ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება ეკისრება შრომითი ხელშეკრულებით. პროფესიული სტუდენტის შეფასებამდე ვალიდაციისას მიმდინარეობს კომუნიკაცია ზეპირი/ელექტრონული ფორმით.

წარმოდგენილი რეგულაციები და შეფასების პროცედურები ადასტურებს, რომ დაწესებულებაში შექმნილია პროფესიული სტუდენტების შეფასების გამჭვირვალე, სამართლიანი და ხარისხზე ორიენტირებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების ობიექტურ შეფასებასა და პროფესიული კომპეტენციების დადასტურებას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.2.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, (დამტ. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2025 წლის 26 აგვისტოს №41 დადგენილებით). აღნიშნული მექანიზმის თანახმად დაწესებულება ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შეფასების შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). პროცესის სირთულიდან გამომდინარე, ვერიფიკაცია ხდება შერჩევითი პრინციპით. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შეიმუშავებს რისკების სისტემას. ეს შესაძლოა იყოს: დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი, სანდო პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა, საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება და სხვა. ვერიფიკაციის პროცესს ხელმძღვანელობს პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ვერიფიკაციის იმ ნაწილს განახორციელებს, რაც დარგის კომპეტენციას არ მოითხოვს. ვერიფიკაციის პროცესში იმ ნაწილს, რომელიც დარგის ცოდნას მოითხოვს, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით, მონაწილეობს დარგის სპეციალისტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში მოქმედი ვერიფიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ხარისხის კონტროლსა და შეფასების სისტემის სანდოობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.2.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

დაწესებულებას „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ დადგენილი აქვს მტკიცებულების შენახვის წესი და ვადები. მტკიცებულებები დაცულია და ინახება მოდულის შესაბამისი უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შემდგომ ნადგურდება სასწავლო უნივერსიტეტში შესაბამისი წესით. მტკიცებულებებიდან საუკეთესო შესაძლებელია გადაეცეს უნივერსიტეტის არქივს ან სურვილისებრ პროფესიულ სტუდენტს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.2.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დაწესებულებას „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმში“ (დამტ. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2025 წლის 26 აგვისტოს №41 დადგენილებით) გაწერილი აქვს სტუდენტთა შეფასების შედეგების სტუდენტების შემდგომი განვითარებისათვის გამოყენების მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით ხორციელდება: ა) აკადემიური გამოწვევის იდენტიფიცირების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელის ან/და მოდულის განმახორციელებლის მიერ სტუდენტისთვის ინდივიდუალური მხარდაჭერის საჭიროების იდენტიფიცირება (კონსულტაციის გაწევა, მასალების დამატებით მიწოდება, სხვა დამხმარე აქტივობები) ბ) წარმატებული სტუდენტების შემდგომი განვითარებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით, პროფესიული სტუდენტისთვის დამატებითი წამახალისებელი აქტივობების შეთავაზება (კონკურსები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონფერენციები, მასტერკლასები, სტიპენდია, ვორქშოპები, პროექტები და ა.შ.). პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებზე მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.2.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- *გასაუბრების შედეგები.*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მებაღეობა“
ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები
I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| **2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება** | ☒ შეესაბამება | ☒ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*წარმოების ფარგლებში ხარვეზი არ გამოვლენილა.*

## III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*წარმოების ფარგლებში სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.*

## IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

*წარმოების ფარგლებში განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენციით (2026 წლის 24 აგვისტოს წერილი N0001084858) დგინდება, რომ დაწესებულება ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

## ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

### III. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | მებაღეობა |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0812 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | აკადემიური საბჭოს დადგენილება №39, 2026 წლის 29 ივნისი |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. სენაკი, მშვიდობის ქუჩა N192 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებულ სამუშაო გარმოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 85 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 115 |

## II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

**ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა“ სრულად შეესაბამება დაწესებულების საგანმანათლებლო პროფილსა და სტრატეგიულ მიზნებს. უნივერსიტეტის მისია ითვალისწინებს რეგიონის საჭიროებებზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი ტექნიკური და პროფესიული კადრების მომზადებას. პროგრამა შემუშავებულია დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტის -„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ შესაბამისად. სრულ თანხვედრაშია უნივერსიტეტის 2025-2031 წლების სტრატეგიულ მიზნებთან. უნივერსიტეტის მისიის თანახმად, ორგანიზაცია წარმოადგენს რეგიონის საგანმანათლებლო, კულტურულ და ეკონომიკურ ჰაბს, რომელიც ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და რეგიონის მდგრად განვითარებაზე. „მებაღეობის“ პროგრამის დანერგვა პირდაპირ ემსახურება ამ მიზანს, რადგან იგი უზრუნველყოფს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი აგრარული დარგის მაღალკვალიფიციური მუშახელით შევსებას. პროგრამა ეფუძნება უნივერსიტეტის ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებებს, როგორიცაა პროფესიონალიზმი, სოციალური პასუხისმგებლობა და უწყვეტი განათლების ხელმისაწვდომობა.

პროგრამა პასუხობს რეგიონში თანამედროვე აგროტექნოლოგიების (ინტენსიური და ნახევრადინტენსიური ბაღები, წვეთოვანი სისტემები, ბიოწარმოება) დანერგვის ტენდენციას, რაც მოითხოვს ახალი თაობის სპეციალისტების მომზადებას სტრატეგიული დოკუმენტი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს უნივერსიტეტის როლზე რეგიონის ეკონომიკურ პროგრესში. მებაღეობის დარგის მხარდაჭერა და პროფესიული კადრების მიწოდება ადგილობრივი ფერმერული მეურნეობებისთვის წარმოადგენს უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მესამე მისიის პირდაპირ შესრულებას

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „მებაღეობა" დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს და მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამაზე დაშვების ძირითად წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება. პროფესიულ სტუდენტთა პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პროცედურები რეგულირდება შიდა მარეგულირებელი აქტით-,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი" (დამტ. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 26 ივნისის №36 დადგენილებით), წინაპირობებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების ლოგიკური ჯაჭვი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტის წინარე ცოდნა იყოს ადეკვატური საიმისოდ, რათა პროგრამით განსაზღვრულ ვადებში (სწავლების ინტენსივობის გათვალისწინებით) ეტაპობრივად მიღწეულ იქნეს ყველა პროფესიული კომპეტენცია.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის შესაბამისი მარეგულირებელი აქტით ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესით" (დამტკიცებულია : წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 29 დეკემბრის N53 დადგენილებით), რომლის მიხედვითაც სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება არსებული რესურსის გათვალისწინებით. წინამდებარე წესის მიხედვით, უნივერსიტეტი სასწავლო პროცესს წარმართვს ორ მუნიციპალიტეტში, შემდეგ მისამართებზე: ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14 და სენაკი, მშვიდობის ქ.N192. უნივერსიტეტში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- A, B და C. დასაშვებია გარემოს სხვადასხვა მოდელი ერთ სივრცეშიც იყოს განთავსებული, მაგალითად, ერთ სივრცეში არსებობდეს ერთდროულად A და C, A და B, B და C, A, B და C გარემო.

A ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის. აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და კომპიუტერით ან ლეპტოპით, ასევე დემონსტრირების საშუალებით (პროექტორი ან ეკრანი ან ინტერაქტიული დაფა). შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება სწავლების შერჩეული მეთოდის გამოსაყენებლად.

B ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემებისა და რაოდენობის კომპიუტერით (1 პროფესიულ სტუდენტზე 1 კომპიუტერი), მასწავლებლის მაგიდითა და კომპიუტერით ან ლეპტოპით, პრინტერითა და დემონსტრირების საშუალებით (პროექტორი ან ეკრანი ან ინტერაქტიული დაფა). B გარემოში შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება.

C ტიპის სასწავლო გარემო - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობის შიგნით. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აღჭურვილობის ნორმატივები დადგენილია ინდივიდუალურად მოდულების შესაბამისად.

პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გარემოსა და მატერიალურ რესურსთან მიმართებაში მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოსთან მიმართებაში გათვალისწინებულია ფართი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად (არსებობის შემთხვევაში) და რესურსი პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რაოდენობის გათვალისწინებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნივერსიტეტში დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელების კვირეული დატვირთვის, სხვადასხვა ცვლებში მუშაობისა და შეჭრილი ცხრილების გათვალისწინებით; კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია პროგრამისათვის გამოყოფილი სასწავლო გარემოს ოდენობა. რაც მეტია გარემო, მით მეტია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა გამტარიანობა; კვოტის განსაზღვრის დროს ძირითად შემზღუდავ ფაქტორს წარმოადგენს სასწავლო გარემოს ფართი. ის უნდა აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. რამდენიმე გარემოს არსებობის შემთხვევაში კვოტა ეყრდნობა ყველაზე მცირე მოცულობის ფართს, შესაბამისი აღჭურვილობის გათვალისწინებით; ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობა განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად, ყველა გარემოს რესურსიდან უმცირესის გათვალისწინებით.

დაწესებულება კვოტის განსაზღვრისას ითვალისწინებს პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებელი პირის, ასევე კოოპერაციული სწავლების დროს, პრაქტიკული კომპონენტების განმახორციელებელი პირების/ინსტრუქტორის რაოდენობას. შესაძლებელია კონკრეტულმა პროფესიულმა სტანდარტმა/საგანმანათლებლო სტანდარტმა შეზღუდოს ინსტრუქტორების რაოდენობა პროფესიული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

პროგრამის ეფექტურად განხორციელებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია ერთი A ტიპის და ერთი C ტიპის სასწავლო გარემო. პროგრამის მოდულების განხორციელებისთვის დამტკიცებულია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და რესურსების სია, რომელიც სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსების შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტთან. საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა განხორციელებულია პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლების მიერ და ეფუძნება მოდულების შინაარსს, სწავლების მიზნებსა და თემატურ მიმართულებებს. არსებული მატერიალური, ადამიანური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან განხორციელებასა და პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

მონაცემების ანალიზი ადასტურებს, რომ აუდიტორიების რაოდენობა იძლევა შესაძლებლობას, თითოეული პროფესიული სტუდენტი უზრუნველყოფილი იყოს ინდივიდუალური სამუშაო ადგილით, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროფესიული კომპეტენციების ფორმირებისათვის.

ზემოაღნიშნული რესურსების, სასწავლო ფართის გამტარუნარიანობისა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოთხოვნილი 30 სტუდენტი წარმოადგენს რეალისტურ და დასაშვებ ზღვრულ რაოდენობას.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა დაწესებულების მატერიალური და ელექტრონული სასწავლო რესურსები. შეფასების შედეგად დადგინდა შემდეგი:

დაწესებულების ფლობაში არსებული სასწავლო რესურსი სრულად შეესაბამება „მებაღეობა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ძირითად სასწავლო ლიტერატურას. ბიბლიოთეკაში დაცული რესურსები პასუხობს პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

სასწავლო მასალები ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია როგორც მატერიალური (ბეჭდური), ისე ელექტრონული სახით, რაც სტუდენტებს აძლევს არჩევანის და სწავლის პროცესის მოქნილად წარმართვის შესაძლებლობას.

დაწესებულება სრულად ფლობს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ სასწავლო რესურსს, ხოლო მათი მრავალფეროვნება (მატერიალური და ციფრული) ხელს უწყობს სწავლის ხარისხის მდგრადობასა და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა" არ მოიცავს არჩევით მოდულს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, უნივერსიტეტში პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილია აკადემიური საბჭო, შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია 2026 წლის 29 ივნისის, აკადემიური საბჭოს №39 დადგენილებით.(ცვლილება განხორციელდა 2026 წლის 17 ივლისის, აკადემიური საბჭოს №47 დადგენილებით.)

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.6 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება მკაფიოდ და ადეკვატურად ასახავს მის შინაარსობრივ სპეციფიკას, ძირითად მიმართულებებსა და პროფესიულ ორიენტაციას. იგი სრულ თანხვედრაშია დასახულ სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების, სტრუქტურისა და მოსალოდნელი კომპეტენციების სწორ აღქმას როგორც დაინტერესებული პირების, ისე პოტენციური დამსაქმებლების მხრიდან. მოდულების შინაარსი, სტრუქტურა და შესაბამისი სწავლის შედეგები ურთიერთდაკავშირებული და თანმიმდევრულია, რაც განაპირობებს მათ სრულ შესაბამისობას პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ სფეროსთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სახელწოდება შინაარსობრივად დასაბუთებული, ზუსტი, რელევანტურია და არ არის შეცდომაში შემყვანი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.7 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ -შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი „მებაღეობა“ პროგრამა შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობისა და შიდაორგანიზაციული რეგულაციების სრული დაცვით. პროგრამა ეფუძნება შესაბამის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტს და სრულად შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ყველა სავალდებულო ელემენტს: მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, დაშვების წინაპირობებს,სწავლის შედეგებსა და მათ დეტალურ აღწერას, შეფასების სისტემას, სწავლების მეთოდოლოგიას, დასაქმების სფეროებს,ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ, პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმა, მოდულები, წარმოდგენილია ინფორმაცია მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ. პროგრამაში ინტეგრირებულია ქართული ენის მოდული (A2 და B1 დონე). აღნიშნული კომპონენტი უზრუნველყოფს არაქართულენოვანი სტუდენტების მომზადებასა და მათ სრულფასოვან ჩართვას სასწავლო პროცესში, რაც უნივერსიტეტის ინკლუზიურ გარემოზე მიუთითებს. პროგრამა მოიცავს საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის განსაზღვრულ მოდულებს, სულ 85 კრედიტის მოცულობით - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის და 115 კრედიტს - არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.8 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2026 წლის 29 ივნისის, აკადემიური საბჭოს №39 დადგენილებით, (ცვლილება განხორციელდა 2026 წლის 17 ივლისის, აკადემიური საბჭოს №47 დადგენილებით) დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა“
- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის N36 დადგენილებით
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“
- „სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დებულება“ დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2024 წლის 23 დეკემბრის N69 დადგენილებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება - დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის ბრძანება №131/ნ-ით
- ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი" დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2024 წლის 29 დეკემბრის N53 დადგენილებით;
- „სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2024-2030 წლების სტრატეგიული დოკუმენტი", დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2024 წლის 23 დეკემბრის N82 დადგენილებით პროფესიული პროგრამის „ახალგაზრდული საქმიანობა" განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ვიზუალური დათვალიერება;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანი განხორციელება და სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული თანამედროვე, დარგის სპეციფიკის შესაბამისი და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის საკმარისი მატერიალური რესურსებით.
სასწავლო პროცესი იგეგმება ქ. სენაკში, მშვიდობის ქ. N192-ში მდებარე სასწავლო კორპუსსა და სადემონსტრაციო საბაღე ნაკვეთზე.
თეორიული სწავლებისთვის გამოყოფილოია შესაბამისი გარემო უნივერსიტეტის სენაკის მისამართზე განთავსებული სასწავლო კორპუსის 109-ე აუდიტორიაში. რომელიც წარმოადგენს A გარემოს. ხოლო პრაქტიკული სამუშაოები სრულდება სენაკის ცენტრის, სადემონსტრაციო საბაღე ნაკვეთებზე, ასევე შიდა ეზოში, სადაც მრავლად არის დეკორატიული მცენარეები.
ძირითადი აუდიტორია აღჭურვილია ციფრული სადემონსტრაციო საშუალებებით (ლეპტოპი, პროექტორი), რაც იძლევა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მეცადინეობების ინტერაქტიულად ჩატარების შესაძლებლობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნივერსიტეტში მოქმედებს რესურსების დაგეგმვის ეფექტიანი სისტემა. სწავლის დაწყებამდე ხდება მოდულების განსახორციელებლად საჭირო რესურსების იდენტიფიცირება და მოთხოვნა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას. სასწავლო ცხრილების ეფექტიანი დაგეგმვის შედეგად, რესურსები ოპტიმალურად არის განაწილებული:

№ 109 აუდიტორია ორი ცვლის მეშვეობით სრულად მოემსახურება ორი მიღების სტუდენტთა ნაკადს. ამასთან, მოდულის „ბაღის მოწყობა" უზრუნველსაყოფად, სტუდენტებისითვის უზრუნველყოფილია 208-ე აუდიტორია.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მებაღეობა", განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 10 პროფესიული მოდულების,ხოლო 4 ზოგადი მოდულების განმახორციელებელია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს" და არ აღემატება კვირაში 40 საათს. წარმოდგენილი მასალებითა და გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებას რიგ მოდულებზე ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი. ვიზიტის ფარგლებში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით განმახორციელებელ პირებთან დადებულია შეთანხმებები, რომლებიც ითვალისწინებს ავტორიზაციის მიღების შემდეგ შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებას. პრაქტიკის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პირად საქმეებში არსებული შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებული იყო მილევადი რეჟიმის პროგრამის ფარგლებში. ხელშეკრულებები შეიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ არსებით პირობებს და აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის საფუძველს, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში დაწესებულებას აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად განმახორციელებელ პირებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების პრაქტიკა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობებს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, მასწავლებელთა უმეტესობას პროფესიული განათლების სფეროში მრავალწლიანი პრაქტიკული და პედაგოგიური გამოცდილება აქვს.
ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტრენინგები შეფასების სისტემის, სწავლების მეთოდოლოგიისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის (კალენდარული გეგმების შემუშავების) მიმართულებით, ასევე, მონაწილეობა აქვთ მიღებული უნარების სააგენტოსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთად, ჩართულნი არიან მოდულური პროგრამების ადაპტირებისა და შემუშავების, ასევე სასწავლო რესურსების განახლების პროცესში. მათ აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება და მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.
პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლის, ფაქტობრივი გარემოებების გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს გააჩნიათ პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და მათი შეფასების კომპეტენცია.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

**4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შიდა მარეგულირებელი წესით განსაზღვრული პროგრამის ხელმძღვანელი, გასაუბრების, სამუშაო აღწერილობისა და პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს შესაბამის დარგობრივ კომპეტენციას და აქვს როგორც აკადემიური ცოდნა, ასევე პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს საკვანძო აკადემიურ და ადმინისტრაციულ რგოლს, რომელიც პასუხისმგებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვაზე, ეფექტიან განხორციელებაზე, სწავლების ხარისხის მონიტორინგსა და მის მუდმივ განვითარებაზე, დადგენილი სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.პროგრამის ხელმძღვანელს უდასტურდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება. „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი" ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება დაწესებულების სამკითხველო დარბაზში რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ინტერნეტის საშუალებით მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია, ისარგებლონ პრინტერით და სურვილის შემთხვევაში ელექტრონული ფორმატით არსებული მასალები ამობეჭდონ. მათთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის სამკითხველო სივრცე და ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურება.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

**6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

დაწესებულებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში (დამტ. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის №36 დადგენილებით) გაწერილი აქვს სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის ღონისძიებები. აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს: აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს: საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ადამიანური (სასწავლო პროცესის ასისტენტი, ინდივიდუალური ასისტენტი, მძღოლი და სხვა.) და მატერიალური რესურსის მობილიზებას და უზრუნველყოფს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსსმ პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს „სსსმ პირთათვის სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები" (დამტ. წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 29 დეკემბრის №53 დადგენილებით), სადაც გაწერილია, რომ სსსმ და შშმ სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის/ინკლუზიური განათლების სპეციალისტის / ასისტენტის მეშვეობით. დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ასისტენტის, შშმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირის (ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის) ჩართვას. ინკლუზიური განათლების მიმართულებით პასუხისმგებელ პირთან გასუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში არ ჰყოლიათ სსსმ სტუდენტი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია.**

**7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

უნივერსიტეტი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსების მექანიზმის ფარგლებში. აღნიშნული ფინანსური მოდელი ქმნის პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსების უზრუნველყოფის საფუძველს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობას.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავლებში გათვალისწინებულია - ვაუჩერული დაფინანსება; ხარჯებში - მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსებიდან), სასწავლო მასალა, პროგრამის განვითარებისკენ მიმართული ხარჯი (პერსონალის, სტუდენტის მხარდაჭერა და პროფესიული განათლების მიზნებისკენ მიმართული სხვა ხარჯი). აღნიშნული ბიუჯეტით პროგრამის რენტაბელობის ზღვარი არის 6 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა“ დამტკიცებული სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლოის 29 ივნისის N39 დადგენილებით;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- სასწავლო გეგმა;
- შესყიდვის აქტები;
- პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- „სსსმ პირთათვის სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები“
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

დაწესებულებას სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი", სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების და განვითარების მექანიზმები.პროგრამის შეფასების/ანალიზის დროს დგინდება პროგრამის შესაბამისობა შემდეგ კრიტერიუმებთან:

ა) სასწავლო რესურსის შესაბამისობა მოდულების სწავლის შედეგებთან - სასწავლო რესურსი უნდა იყოს მისაღწევი სწავლის შედეგების რელევანტური. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაში მატერიალური ან/და ელექტრონული სახით;

ბ) მატერიალური რესურსის შესაბამისობა მოდულების სწავლის შედეგებთან - მატერიალური რესურსი უნდა იყოს მისაღწევი სწავლის შედეგების რელევანტური, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისი;

გ) სწავლების მეთოდების რელევანტურობა სწავლის შედეგებთან მიმართებით და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობა;

დ) პროგრამის მოდულების შინაარსის შესაბამისობა სწავლის შედეგებთან;

ე) პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა (მოწმდება რამდენი კურსდამთავრებული და პროფესიული სტუდენტი დასაქმდა პროგრამის მიმართულებით/პროფესიით)

ვ) პროფესიულ სტუდენტთა მოძრაობის სტატისტიკა (ფასდება რამდენი პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა პროგრამაზე, რამდენმა დაამთავრა, რა იყო მათი სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის/მობილობის მიზეზი).

ზ) პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციის შესაბამისობა მათ მიერ განხორციელებული მოდულების სწავლის შედეგებთან;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ) საჭიროების შემთხვევაში სხვა კრიტერიუმებთან (მაგალითად: წარმოებული სასწავლო დოკუმენტაციის ხარისხი - კალენდარული გეგმა, შედეგების შეფასების უწყისი, საგანმანათლებლო პროგრამებიდან პროფესიულ სტუდენტთა გადინების (სტატუსის შეწყვეტა, სტატუსის შეჩერება) მაჩვენებელი; პროგრამაზე აპლიკანტთა რაოდენობის ცვლა (კლება, მატება); პროფესიული სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი, შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასებების ანალიზი (არსებობის შემთხვევაში).

პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ინსტრუქტორებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვას, რისთვისაც იყენებს კითხვარებს (კონკრეტული საჭიროებების მიხედვით). ასევე, შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეთოდი და პირისპირ ინტერვიუ.

პროგრამის შეფასება ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, (მასწავლებლის შეფასება, სწავლის შედეგების შეფასება (ვერიფიკაცია), გამოკითხვები, ფოკუს ჯგუფები, ინტერვიუები), რომლებიც რეგულირდება დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, პერიოდულად, თითოეული მოდულის/განმახორციელებლის გათვალისწინებით ან ვერიფიკაციის წესის შესაბამისად, რისკ ფაქტორებიდან გამომდინარე, ესწრება სასწავლო პროცესს, საკონტაქტო საათის განმავლობაში. პროფესიულ პროგრამებზე ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი ანალიზებს შეგროვებულ მონაცემებს. ანალიზის შედეგად იძლევა პროგრამის განვითარების რეკომენდაციებს. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გაიცეს რეკომენდაცია პროგრამის გაუქმების თაობაზე. საჭიროების შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს ინიცირება მოდულში ცვლილებების თაობაზე. ეს შეიძლება იყოს სწავლების მეთოდების კორექტირება, შეფასების ინსტრუმენტის შეცვლა შეფასების მიმართულების ფარგლებში, სწავლის შედეგებზე საათების გადანაწილების კორექტირება, საგანმანათლებლო რესურსების ან თემატიკის ცვლილება და სხვა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრებების შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, შესაბამისი სექტორის განვითარების ტენდენციები და დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციები. ასევე, პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისას დაწესებულება ეყრდნობა პროფესიული განათლების სფეროში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც ხელს უწყობს პროგრამის აქტუალობის, ხარისხისა და შრომის ბაზართან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმი სრულად ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს, პროფესიული განათლების თანამედროვე ტენდენციებსა და საუკეთესო პრაქტიკას, რაც ქმნის პროგრამების უწყვეტი გაუმჯობესებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საფუძველს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.3.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ ,რომლის მე-6 მუხლში გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის მექანიზმები და პროცედურა. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია: პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი მექანიზმებით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, ასევე სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე დასაბუთებული წერილობითი ინიციატივა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსის, პროგრამის ხელმძღვანელის, პრაქტიკის ობიექტის/ სასწავლო საწარმოს ან/და დამსაქმებლების, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.3.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მებაღეობა“ განხორციელებისათვის შემუშავებულია სასწავლო გეგმა, რომელი წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურებად. დადგინდა, რომ გეგმა სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს:

- ასახავს მოდულების თანმიმდევრობას;
- განსაზღვრავს თითოეული მოდულის განხორციელების კვირეობრივ განრიგს;
- უზრუნველყოფს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მკაფიო გაწერას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაცულია პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გონივრული ოდენობა;

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მიდგომას იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხება არაქართულენოვანი სტუდენტები. მათთვის გათვალისწინებულია ქართული ენის შემავსებელი მოდული, რაც უზრუნველყოფს:

- სასწავლო პროცესში თანაბარ ჩართულობას;
- პროფესიული ლექსიკის დაუფლებას;
- სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით, „მებაღეობა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.1. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისი № 36 დადგენილებით დამტკიცებულია ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის VI თავით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები. დაწესებულება სასწავლო პროცესს გეგმავს და ახორციელებს პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და მხარდაჭერის მიზნით დაწესებულებაში ხორციელდება:პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო, გაცნობითი შეხვედრების ორგანიზება. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო/საორიენტაციო შეხვედრები ტარდება იმ შემთხვევებშიც, როდესაც: ა) იცვლება პროგრამა; ბ) იცვლება სასწავლო გარემო (დუალური და კოოპერაციული პროგრამის შემთხვევაში); გ) იგეგმება შუალედური შეფასება და საკვალიფიკაციო გამოცდა; დ) არსებობს მოთხოვნა პროფესიულ სტუდენტთა მხრიდან ნებისმიერი საკითხის განხილვის თაობაზე; ე) არსებობს მოთხოვნა დასაქმებასთან/სტაჟირებასთან დაკავშირებით; ვ) არსებობს სხვა გარემოება, როცა სავალდებულოა პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალური ან/და ჯგუფურ შეხვედრების ორგანიზება;. საჭიროების შემთხვევაში,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არასრულწლოვან/ქმედუუნარო/შეზღუდულქმედუნარიან პროფესიულ სტუდენტთა მიმართებაში დაწესებულება უზრუნველყოფს ინდივიდუალურ შეხვედრებს სტუდენტთა კანონიერ წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს კოორდინაციას უწევს უწევს პროფესიული განათლების ზუგდიდის/სენაკის ცენტრის სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი ან/და პროგრამის ხელმძღვანელი.პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება: პირისპირ კომუნიკაცია, ელ-ფოსტა, სოციალური ქსელის შიდა ჯგუფები.

კომუნიკაციის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და საშუალებას აძლევს დაწესებულებას სწრაფად და ეფექტიანად მოახდინოს რეაგირება მათ მოთხოვნებზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრებების საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის ორგანიზებას, გააჩნია სტუდენტთა მხარდაჭერის განსაზღვრული მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში მოქნილად რეაგირებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ და ჯგუფურ საჭიროებებზე.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.2. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

პროგრამის შესაბამისი სასწავლო რესურსი და მატერიალური ბაზა იძლევა იმის გარანტიას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით, ასევე ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები /თანამედროვე ტექნოლოგიები. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ არა ერთი ტრენინგი სწავლების მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით და აქვთ სწავლების პრაქტიკული გამოცდილება. ასევე გასაუბრების დროს დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ სოციალურ ქსელში არსებულ ჯგუფებში და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტრონულ ფოსტაზე პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო რესურსების/ელექტრონული მასალების გაზიარების შესაძლებლობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული არცერთი მოდული ამჟამად დისტანციური ფორმით არ ხორციელდება. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულება უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების განხორციელებისთვის შესაბამისი მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას, მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნულის შესახებ დაწესებულება დადგენილი წესით აცნობებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ამასთან, დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების დანერგვისთვის შესაბამისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და ტექნიკური მექანიზმების შემუშავებას. აღნიშნული პროცესი განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, პროფესიული განათლების მარეგულირებელი აქტებისა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნების შესაბამისად.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ამჟამად არ ხორციელდება დისტანციური ფორმით, დაწესებულებას გააზრებული აქვს საჭიროების შემთხვევაში დისტანციური სწავლების დანერგვისთვის აუცილებელი ორგანიზაციული და მარეგულირებელი წინაპირობების შექმნის მნიშვნელობა და მზადყოფნას გამოთქვამს შესაბამისი მექანიზმების შემუშავებისა და დანერგვისათვის.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისი № 36 დადგენილებით დამტკიცებულა ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", რომელშიც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესაბამისად რეაგირების მექანიზმები, როგორიცაა: ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა, ადმინისტრაციული მხარდაჭერა, სასწავლო და შეფასების პროცესის დაგეგმვისას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისიწინება, მობილობისა, სტატუსის აღდგენის და განათლების აღიარების პროცედურები და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტი ქმნის საფუძველს, რომ სასწავლო პროცესი განხორციელდეს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომით და თითოეულ სტუდენტს მიეცეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობა.

დაწესებულება სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა განსხვავებულ შესაძლებლობებს, წინარე განათლებასა და პროფესიულ გამოცდილებას, საგანმანათლებლო საჭიროებებსა და ინდივიდუალურ გამოწვევებს. საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მოქნილ ორგანიზებას მისი საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, მათ შორის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, შესაბამის პროცედურებში დახმარებასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების დროულ გადაწყვეტას როგორც ადაპტაციის ეტაპზე, ისე პროგრამის განხორციელების პერიოდში.

სასწავლო და შეფასების პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების ინტერესები და ინდივიდუალური საჭიროებები. შეფასების პროცესი ეფუძნება მოქნილობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა შესაბამისი მხარდაჭერა სწავლის შედეგების დასადასტურებლად.

პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას ასევე უზრუნველყოფს დაწესებულებაში მოქმედი პროცედურები, რომლებიც არეგულირებს მობილობას, სტატუსის აღდგენას, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების აღიარებასა და სწავლის პროცესში წარმოშობილი განსაკუთრებული გარემოებების მართვას. აღნიშნული პროცესები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელის, სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებების დაცვასა და სასწავლო პროცესში მათ უწყვეტ ჩართულობას.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებით დადასტურდა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები იცნობენ პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ ინდივიდუალურ მხარდაჭერას. პროგრამის ხელმძღვანელები და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები პროფესიულ სტუდენტებთან მუდმივი კომუნიკაციის საფუძველზე დროულად ავლენენ სწავლის პროცესში წარმოშობილ საჭიროებებს და ახორციელებენ შესაბამის რეაგირებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრებების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას გააჩნია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების შესაბამისი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში თანაბარი შესაძლებლობების შექმნას, სტუდენტთა მხარდაჭერას და პროფესიული განათლების ხარისხიან განხორციელებას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მებაღეობა“ ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, რაც იმას ნიშნავს, რომ პროგრამის მოდულების განხორციელება სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცით და პრაქტიკული კომპონენტის გასახორციელებლად დამატებითი სივრცის აუცილებლობა არ არის.
ინტერვიუირებისას აღინიშნა, რომ ინსტიტუცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სტუდენტთა პროფესიულ განვითარებასა და შემდგომ კარიერულ წინსვლას. პროგრამის კურსდამთავრებულთა ეფექტიანი დასაქმების ხელშეწყობის, შრომის ბაზარზე მათი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმატებული ინტეგრაციისა და სხვა ერთობლივი მხარდამჭერი აქტივობების უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან და დამსაქმებლებთან.
აღნიშნული პარტნიორობა მყარ საფუძველს ქმნის სასწავლო პროცესის შრომის ბაზრის აქტუალურ მოთხოვნებთან თანხვედრისთვის და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთათვის დასაქმების ხელმისაწვდომობას.
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**
უნივერსიტეტი უმთავრეს პრიორიტეტად მიიჩნევს სტუდენტებისა და პერსონალისთვის უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნას. უნივერსიტეტის თეორიული მეცადინეობებისთვის გათვალისწინებული გარემო ექვემდებარება ზოგად ინსტრუქციებს უსაფრთხოებაში, ხოლო პრაქტიკის განსახორციელებელი გარემო - სპეციფიკას. დაწესებულებას ზოგადი უსაფრთხოების ნორმები გაწერილი აქვს „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტში" (დამტ. წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 29 დეკემბრის N53 დადგენილებით). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.6 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი"
- ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი",
- საგანმანათლებლო პროგრამის" სასწავლო გეგმა;
- „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი";
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისი № 36 დადგენილებით დამტკიცებულია ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესი. რომლის მიხედვითაც ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. პროფესიული სტუდენტებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია მოდულის შესაბამისად და იგი წინასწარ არის ცნობილი პროფესიული სტუდენტებისთვის. მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას, სადაც დგინდება/მოწმდება მისი შესაბამისობა მოდულით განსაზღვრულ შედეგების კრიტერიუმებთან, მტკიცებულებებსა და შეფასების მიმართულებებთან. ვალიდაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება აქვს ვალიდაციის ჯგუფს. ვალიდაციის ჯგუფში შედიან: შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები/მოდულის განმახორციელებლები, სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი/პირები. შეფასების პროცესამდე მინიმუმ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოდულის განმახორციელებელი ვალიდაციისთვის შესაბამის პირებს უგზავნის/წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს. ვალიდაციის პროცესს კოორდინირებას უწევენ სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი; ხარვეზის დადგენისათვის ვადა განისაზღვრება 2 (ორი) დღით. ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი რეკომენდაციით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებელს/მოდულის განმახორციელებელს, რომელიც ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული ვერსია. პროფესიული სტუდენტის შეფასებამდე ვალიდაციისას მიმდინარეობს კომუნიკაცია ზეპირი/ელექტრონული ფორმით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითობის პრინციპით გამოთხოვილი იქნა შეფასების ინტრუმენტები და მტკიცებულებები. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ინსტრუმენტის შინაარსი შეესაბამებოდა შიდა მარეგულრებელი დოკუმენტებით გაწერილ წესებს, დავალების მოცემულობა შესაბამისობაში იყო შეფასების კრიტერიუმებთან და სრულად აფასებდა სწავლის შედეგის მიღწევას.

წარმოდგენილი რეგულაციები და შეფასების პროცედურები ადასტურებს, რომ დაწესებულებაში შექმნილია პროფესიული სტუდენტების შეფასების გამჭვირვალე, სამართლიანი და ხარისხზე ორიენტირებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების ობიექტურ შეფასებასა და პროფესიული კომპეტენციების დადასტურებას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.2.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, (დამტ. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2025 წლის 26 აგვისტოს №41 დადგენილებით). აღნიშნული მექანიზმის თანახმად დაწესებულება ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შეფასების შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). პროცესის სირთულიდან გამომდინარე, ვერიფიკაცია ხდება შერჩევითი პრინციპით. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შეიმუშავებს რისკების სისტემას. ეს შესაძლოა იყოს: დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი, სანდო პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა, საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება და სხვა. ვერიფიკაციის პროცესს ხელმძღვანელობს პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ვერიფიკაციის იმ ნაწილს განახორციელებს, რაც დარგის კომპეტენციას არ მოითხოვს. ვერიფიკაციის პროცესში იმ ნაწილს, რომელიც დარგის ცოდნას მოითხოვს, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონაწილეობს დარგის სპეციალისტი. დაწესებულებამ წარმოადგინა ადმინისტრაციული პერსონალისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების შეხვედრის ოქმი და ადმინისტრაციული პერსონალისა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციაში ჩართული პირების შეხვედრის ოქმი. აღნიშნული ოქმების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულება ვერიფიკაციის პროცესის ჩატარებამდე განსაზღვრავს ვერიფიკაციაში მონაწილე პირების ვინაობას (ინტერესთა კონფლიქტის დაცვით), განსაზღვრავს ვერიფიკაციის ვადებს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და მოდულებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის დოკუმენტაციისა და ოქმების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში მოქმედი ვერიფიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ხარისხის კონტროლსა და შეფასების სისტემის სანდოობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.2.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

დაწესებულებას „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ დადგენილი აქვს მტკიცებულების შენახვის წესი და ვადები. მტკიცებულებები დაცულია და ინახება მოდულის შესაბამისი უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შემდგომ ნადგურდება სასწავლო უნივერსიტეტში შესაბამისი წესით. მტკიცებულებებიდან საუკეთესო შესაძლებელია გადაეცეს უნივერსიტეტის არქივს ან სურვილისებრ პროფესიულ სტუდენტს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.2.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმში“ (დამტ. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2025 წლის 26 აგვისტოს №41 დადგენილებით) გაწერილი აქვს სტუდენტთა შეფასების შედეგების სტუდენტების შემდგომი განვითარებისათვის გამოყენების მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით ხორციელდება: ა) აკადემიური გამოწვევის იდენტიფიცირების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელის ან/და მოდულის განმახორციელებლის მიერ სტუდენტისთვის ინდივიდუალური მხარდაჭერის საჭიროების იდენტიფიცირება (კონსულტაციის გაწევა, მასალების დამატებით მიწოდება, სხვა დამხმარე აქტივობები) ბ) წარმატებული სტუდენტების შემდგომი განვითარებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით, პროფესიული სტუდენტისთვის დამატებითი წამახალისებელი აქტივობების შეთავაზება (კონკურსები, კონფერენციები, მასტერკლასები, სტიპენდია, ვორქშოპები, პროექტები და ა.შ.). პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებზე მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.2.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ელექტროობა“
ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☐ შესაბამება<br>■ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ☐ შესაბამება<br>■ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ☐ შესაბამება<br>■ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ☐ შესაბამება<br>■ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*წარმოების ფარგლებში ხარვეზი არ გამოვლენილა.*

## III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*II სტანდარტი*

*ინდიკატორი 2.2.1.1*
*დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 ივნისის N40 (ცვლილება: 2026 წლის 28 ივლისი N49 დადგენილება) დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (2.2.1 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში - 26 დეკემბერი 2026 წელი - უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა" სრულყოფილი განხორციელებისთვის საჭირო დამატებითი მატერიალური რესურსის შეძენა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

*წარმოების ფარგლებში განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.*

## V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

**სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენციით (2026 წლის 24 აგვისტოს წერილი N0001084858) დგინდება, რომ დაწესებულება ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.**

## ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## IV. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ელექტროობა |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0713 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | 2026 წლის 29 ივნისი, აკადემიური საბჭოს დადგენილება №39 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. სენაკი, მშვიდობის ქუჩა N192 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 66 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 81 |

**II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

**ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ სრულად შეესაბამება დაწესებულების საგანმანათლებლო პროფილსა და სტრატეგიულ მიზნებს. უნივერსიტეტის მისია ითვალისწინებს რეგიონის საჭიროებებზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი ტექნიკური და პროფესიული კადრების მომზადებას.პროგრამა შემუშავებულია დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტის - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ შესაბამისად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის სათანადო დასაბუთება, მათ შორის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ დაგეგმვისა და შემუშავების მიზანშეწონილობის ცხრილი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის განხორციელების აუცილებლობა ეფუძნება ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევის შედეგებს, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[redacted]

სამინისტროს მიერ ჩატარებულ კვლევას „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა“. აღნიშნული კვლევის თანახმად, მშენებლობის, ენერგეტიკისა და ტექნიკური მომსახურების სექტორებში ელექტრომონტიორისა და ელექტრიკოსის პროფესია სტაბილურად შედის ყველაზე მოთხოვნად და დეფიციტურ სპეციალობებს შორის.წარმოდგენილი მონაცემები ასევე მიუთითებს, რომ ქვეყანაში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სამრეწველო ობიექტების განვითარების პარალელურად, უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე (სერტიფიცირებულ) ელექტროტექნიკოსებზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად აღემატება არსებულ მიწოდებას. შესაბამისად, პროგრამა პასუხობს როგორც ქვეყნის მასშტაბით იდენტიფიცირებულ ტექნიკური უნარების დეფიციტს, ისე სტრუქტურული უმუშევრობის შემცირების საჭიროებას.გარდა ამისა, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას ადასტურებს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი წერილიც, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და საოპერაციო სისტემების მოდერნიზაციის პროცესში განსაკუთრებით მწვავედ დგას კვალიფიციური ელექტრიკოსების დეფიციტის საკითხი.წარმოდგენილი ინფორმაციისა და მტკიცებულებების ანალიზი ცხადყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება ჯეროვან დასაბუთებას, პასუხობს თანამედროვე ეკონომიკურ მოთხოვნებს და სრულ თანხვედრაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტებთან.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტროობა" დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს და მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამაზე დაშვების ძირითად წინაპირობას წარმოადგენს საბაზო ზოგადი განათლება. პროფესიულ სტუდენტთა პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პროცედურები რეგულირდება შიდა მარეგულირებელი აქტით-,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“ (დამტ. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის №36 დადგენილებით), წინაპირობებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების ლოგიკური ჯაჭვი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტის წინარე ცოდნა იყოს ადეკვატური საიმისოდ, რათა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამით განსაზღვრულ ვადებში (სწავლების ინტენსივობის გათვალისწინებით) ეტაპობრივად მიღწეულ იქნეს ყველა პროფესიული კომპეტენცია.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის შესაბამისი მარეგულირებელი აქტით ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესით“ (დამტკიცებულია : წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 29 დეკემბრის N53 დადგენილებით), რომლის მიხედვითაც სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება არსებული რესურსის გათვალისწინებით. წინამდებარე წესის მიხედვით, უნივერსიტეტი სასწავლო პროცესს წარმართავს ორ მუნიციპალიტეტში, შემდეგ მისამართებზე: ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14 და სენაკი, მშვიდობის ქ.N192. უნივერსიტეტში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო - A, B და C. დასაშვებია გარემოს სხვადასხვა მოდელი ერთ სივრცეშიც იყოს განთავსებული, მაგალითად, ერთ სივრცეში არსებობდეს ერთდროულად A და C, A და B, B და C, A, B და C გარემო.

A ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის. აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და კომპიუტერით ან ლეპტოპით, ასევე დემონსტრირების საშუალებით (პროექტორი ან ეკრანი ან ინტერაქტიული დაფა). შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება სწავლების შერჩეული მეთოდის გამოსაყენებლად.

B ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემებისა და რაოდენობის კომპიუტერით (1 პროფესიულ სტუდენტზე 1 კომპიუტერი), მასწავლებლის მაგიდითა და კომპიუტერით ან ლეპტოპით, პრინტერითა და დემონსტრირების საშუალებით (პროექტორი ან ეკრანი ან ინტერაქტიული დაფა). B გარემოში შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

C ტიპის სასწავლო გარემო - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობის შიგნით. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აღჭურვილობის ნორმატივები დადგენილია ინდივიდუალურად მოდულების შესაბამისად.

პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გარემოსა და მატერიალურ რესურსთან მიმართებაში მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოსთან მიმართებაში გათვალისწინებულია ფართი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად (არსებობის შემთხვევაში) და რესურსი პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რაოდენობის გათვალისწინებით;

უნივერსიტეტში დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელების კვირეული დატვირთვის, სხვადასხვა ცვლებში მუშაობისა და შეჭრილი ცხრილების გათვალისწინებით; კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია პროგრამისათვის გამოყოფილი სასწავლო გარემოს ოდენობა. რაც მეტია გარემო, მით მეტია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა გამტარიანობა; კვოტის განსაზღვრის დროს ძირითად შემზღუდავ ფაქტორს წარმოადგენს სასწავლო გარემოს ფართი. ის უნდა აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. რამდენიმე გარემოს არსებობის შემთხვევაში კვოტა ეყრდნობა ყველაზე მცირე მოცულობის ფართს, შესაბამისი აღჭურვილობის გათვალისწინებით; ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობა განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად, ყველა გარემოს რესურსიდან უმცირესის გათვალისწინებით.

დაწესებულება კვოტის განსაზღვრისას ითვალისწინებს პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებელი პირის, ასევე კოოპერაციული სწავლების დროს, პრაქტიკული კომპონენტების განმახორციელებელი პირების/ინსტრუქტორის რაოდენობას. შესაძლებელია კონკრეტულმა პროფესიულმა სტანდარტმა/საგანმანათლებლო სტანდარტმა შეზღუდოს ინსტრუქტორების რაოდენობა პროფესიული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

პროგრამის ეფექტურად განხორციელებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია ორი A/C ტიპის და ერთი B ტიპის სასწავლო გარემო. პროგრამის მოდულების განხორციელებისთვის დამტკიცებულია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და რესურსების სია, რომელიც სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსების შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტთან. საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა განხორციელებულია პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების მიერ და ეფუძნება მოდულების შინაარსს, სწავლების მიზნებსა და თემატურ მიმართულებებს. არსებული მატერიალური, ადამიანური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან განხორციელებასა და პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

მონაცემების ანალიზი ადასტურებს, რომ აუდიტორიების რაოდენობა იძლევა შესაძლებლობას, თითოეული პროფესიული სტუდენტი უზრუნველყოფილი იყოს ინდივიდუალური სამუშაო ადგილით, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროფესიული კომპეტენციების ფორმირებისათვის.

ზემოაღნიშნული რესურსების, სასწავლო ფართის გამტარუნარიანობისა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოთხოვნილი 30 სტუდენტი წარმოადგენს რეალისტურ და დასაშვებ ზღვრულ რაოდენობას.ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა დაწესებულების მატერიალური და ელექტრონული სასწავლო რესურსები. შეფასების შედეგად დადგინდა შემდეგი:

დაწესებულების ფლობაში არსებული სასწავლო რესურსი სრულად შეესაბამება „ელექტროობა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ძირითად სასწავლო ლიტერატურას. ბიბლიოთეკაში დაცული რესურსები პასუხობს პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

სასწავლო მასალები ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია როგორც მატერიალური (ბეჭდური), ისე ელექტრონული სახით, რაც სტუდენტებს აძლევს არჩევანის და სწავლის პროცესის მოქნილად წარმართვის შესაძლებლობას.

დაწესებულება სრულად ფლობს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ სასწავლო რესურსს, ხოლო მათი მრავალფეროვნება (მატერიალური და ციფრული) ხელს უწყობს სწავლის ხარისხის მდგრადობასა და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა" არ მოიცავს არჩევით მოდულს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, უნივერსიტეტში პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილია აკადემიური საბჭო, შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია 2026 წლის 29 ივნისი, აკადემიური საბჭოს №39 დადგენილებით.(ცვლილება განხორციელდა 2026 წლის 17 ივლისის, აკადემიური საბჭოს №47 დადგენილებით.)

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.6 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება მკაფიოდ და ადეკვატურად ასახავს მის შინაარსობრივ სპეციფიკას, ძირითად მიმართულებებსა და პროფესიულ ორიენტაციას. იგი სრულ თანხვედრაშია დასახულ სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების, სტრუქტურისა და მოსალოდნელი კომპეტენციების სწორ აღქმას როგორც დაინტერესებული პირების, ისე პოტენციური დამსაქმებლების მხრიდან. მოდულების შინაარსი, სტრუქტურა და შესაბამისი სწავლის შედეგები ურთიერთდაკავშირებული და თანმიმდევრულია, რაც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განაპირობებს მათ სრულ შესაბამისობას პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ სფეროსთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სახელწოდება შინაარსობრივად დასაბუთებული, ზუსტი, რელევანტურია და არ არის შეცდომაში შემყვანი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.7 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული რეგულაციების (სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება - დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის ბრძანება №131/ნ-ით; „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ დამტკიცებული 2026 წლის 26 ივნისის № 36 დადგენილებით სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო მიერ. „აკადემიური საბჭოს დებულება“ დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2024 წლის 23 დეკემბრის N69 დადგენილებით, ) პროგრამა ეფუძნება შესაბამის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტს (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი: - 07.24.1) და სრულად შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ყველა სავალდებულო ელემენტს: მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, დაშვების წინაპირობებს,სწავლის შედეგებსა და მათ დეტალურ აღწერას, შეფასების სისტემას, სწავლების მეთოდოლოგიას, დასაქმების სფეროებს,ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ, პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმა, მოდულები, წარმოდგენილია ინფორმაცია მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ. პროგრამაში ინტეგრირებულია ქართული ენის მოდული (A2 დონე). აღნიშნული კომპონენტი უზრუნველყოფს არაქართულენოვანი სტუდენტების მომზადებასა და მათ სრულფასოვან ჩართვას სასწავლო პროცესში, რაც უნივერსიტეტის ინკლუზიურ გარემოზე მიუთითებს. პროგრამა მოიცავს საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის განსაზღვრულ მოდულებს, სულ 66 კრედიტის მოცულობით - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის და 81 კრედიტს - არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.8 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- 2026 წლის 29 ივნისის, აკადემიური საბჭოს №39 დადგენილებით, (ცვლილება განხორციელდა 2026 წლის 17 ივლისის, აკადემიური საბჭოს №47 დადგენილებით) დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“
- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის N36 დადგენილებით
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“
- „სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დებულება“ დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2024 წლის 23 დეკემბრის N69 დადგენილებით
- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება - დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის ბრძანება №131/ნ-ით
- ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“ დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2024 წლის 29 დეკემბრის N53 დადგენილებით;
- „სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2024-2030 წლების სტრატეგიული დოკუმენტი“, დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2024 წლის 23 დეკემბრის N82 დადგენილებით.
- პროფესიული პროგრამის „ელექტროობა“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ვიზუალური დათვალიერება;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას 2.2.1.1 ინდიკატორის ფარგლებში წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა,რომელიც დამტიცებულია სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 ივნისის N40 დადგენილებით.(შევიდა ცვლილება სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 28 ივლისის N49 დადგენილებით), რომლის თანახმად დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის მატერიალური რესურსების სრულყოფას უზრუნველყოფს 2026 წლის 26 დეკემბერს. დაწესებულებას შესაბამისობის გეგმით შესაძენი აქვს შემდეგი მატერიალური რესურსები: კვების ბლოკი მუდმივი დენის, ციფრული სიხშირმზომი, ციფრული ვატმეტრი, ლაბორატორიული რეოსტატი, აკუმულატორი, ერთსხივიანი ოსცილოგრაფი, სამფაზა ტრანსფორმატორი, იზოლირებული მკვნეტარა, ქანჩის გასაღები ნაკრები, საზომი რულეტი 5 მეტრიანი, კედლის სამტვრევი ღოჯი, ჩაქუჩი, ელ.არხმჭრელი მტვერსასრუტით, ტექნიკური დანიშნულების ფენი, დაბალი სიხსირის გენერატორი, იარაღების ჩანთა.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით დადასტურდა,რომ აღნიშნული რესურსების შეძენა მოხდება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. ამ ეტაპზე მათი არარსებობა ხელს არ უშლის სასწავლო პროცესის განხორციელებას დაწყებას, ვინაიდან სასწავლო გეგმის შესაბამისად, სწავლების დაწყებიდან გათვალისწინებული მოდულების - „ინფორმაციული წიგნიერება“, „პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები“, „უცხო ენა“, „ზოგადი ელექტროტექნიკა“, „შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა“, „მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის“, „ელექტრული წრედები“ და „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ - განხორციელება არ საჭიროებს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ზემოთ ჩამოთვლილ მატერიალურ რესურსებს 2026 წლის 26 დეკემბრამდე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ელექტროობა“ ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში კოოპერაციული სწავლების ფორმით. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის გამოყოფილი აქვს შესაბამისი გარემოები. დაწესებულებას, სენაკის ცენტრისთვის დაწესებულებას,პროგრამის განხორციელების ფარგლებში გამოყოფილი აქვს აუდიტორია №202 A/C გარემოსთვის, აუდიტორია №208 B გარემოსტვის და აუდიტორია №311 A/C გარემოსთვის. A/C ტიპის სასწავლო გარემო (ოთახი №202) უზრუნველყოფს პროგრამის „ელექტროობა“ თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებას. გარემო აღჭურვილია 15 სასწავლო მაგიდითა და სკამით, დაფით, პროექტორითა და ელექტროობის მიმართულების შესაბამისი პრაქტიკული აღჭურვილობით. B ტიპის სასწავლო გარემო (ოთახი №208) აღჭურვილია 16 კომპიუტერითა და AutoCAD-ის პროგრამული უზრუნველყოფით, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების შესაბამისი ციფრული და პრაქტიკული უნარების განვითარებას, ხოლო A/C ტიპის სასწავლო გარემო (ოთახი №311) აღჭურვილია პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი მოდულის „პირველადი გადაუდებელი დახმარების“ საჭირო აღჭურვილობითა და პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილი 15 სამუშაო მაგიდით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე, სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული აქვს 30 პროფესიული სტუდენტი(წელიწადში დაწესებულება გეგმავს მიიღოს 15 პროფესიული სტუდენტი).

დაწესებულება პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობს სს ენერგო - პრო ჯორჯიასთან და ახორციელებს მის ბაზაზე შემდეგ მოდულებს:

1. „ელექტრული ტექნოლოგია“ (07.24.1.5), სწავლის შედეგი 5: „სფეროში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპები“.განსახორციელებელი აქტივობები: პროფესიული სტუდენტებისთვის ორგანიზაციის სტრუქტურის, მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო ძირითადი დოკუმენტების, ორგანიზაციაში დასაქმებულთა მოვალეობებისა და უფლებების, შრომის ეფექტურობისთვის აუცილებელი პიროვნული და პროფესიული მახასიათებლების გაცნობა. დატვირთვა რეალურ გარემოში: მოდულის განმავლობაში ერთჯერადი სასწავლო ვიზიტი კომპანიის ბაზაზე.

2. „ელექტროსამონტაჟო სამუშაოები“ ( 07.24.1.5), სწავლის შედეგი 4:,,ელექტრომოწყობილობების მონტაჟი და ტექნიკური მომსახურება“. განსახორციელებელი აქტივობები: ელექტროძრავების მომსახურება/დეფექტების გამოვლენა; შემყვანგამანაწილებელი მოწყობილობების (ძალოვანი კარადები, მართვის პანელები) სტრუქტურის შესწავლა; სამფაზა აღრიცხვის ვანძების დეწის ტრანსფორმატორებისა და სამფაზა ელექტრომრიცხველების შეერთების სქემებისა და მათი მუშაობის პრინციპის გაცნობა; საკაბელო სისტემების იდენტიფიცირება და ელექტროდანადგარების დემონტაჟის პროცესზე დაკვირვება/მონაწილეობა. სწავლის შედეგის საერთო მოცულობიდან (70 საათი), 40 საათი ეთმობა პრაქტიკულ კომპონენტს პარტნიორის ბაზაზე, ხოლო 30 საათი ხორციელდება უნივერსიტეტის სივრცეში. რაც შეადგენს კვირაში 5 –5 საათს. სწავლის შედეგი 5 ,,დამიწების კონტურის მოწყობა“: განსახორციელეზელი აქტივობები: სამუშაო ტერიტორიის მომზადების , დამამიწებლების მონტაჟის, ონტურის შეკვრა-შედუღებასა და დამიწების გამტარის მიერთების პროცესებზე დაკვირვება/მონაწილეობა 1000 ვოლტამდე ყრუდ დამიწებული ნეიტრალის მქონე ელექტროდანადგარების კორპუსთან. დატვირთვა რეალურ გარემოში: სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეულ პროფესიულ სტუდენტს მოდულის სწავლის შედეგების ფარგლებში რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკული უნარების დასაუფლებლად კვირაში სულ 5 საათის განმავლობაში მოუწევს პრაქტიკის გავლა.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა პრაქტიკის ობიექტზე. განხორციელდა პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება და პერსონალთან გასაუბრება. გასაუბრებისას დადასტურდა, რომ პრაქტიკის ობიექტს აქვს მზაობა და შესაბამისი რესურსი, რომ მიიღოს ერთდროულად არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტი.

<u>დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 ივნისის N40 (ცვლილება: 2026 წლის 28 ივლისი N49 დადგენილება) დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (2.2.1 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში - 26 დეკემბერი 2026 წელი -</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ სრულყოფილი განხორციელებისთვის საჭირო დამატებითი მატერიალური რესურსის შეძენა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.1 მეტწილად დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

**2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“, განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 8 პროფესიული მოდულების, 7 ზოგადი მოდულების განმახორციელებელია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. წარმოდგენილი მასალებითა და გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებას რიგ მოდულებზე ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით განმახორციელებელ პირებთან დადებულია შეთანხმებები, რომლებიც ითვალისწინებს ავტორიზაციის მიღების შემდეგ შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებას. პრაქტიკის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პირად საქმეებში არსებული შრომითი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებული იყო მილევადი რეჟიმის პროგრამის ფარგლებში. ხელშეკრულებები შეიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ არსებით პირობებს და აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის საფუძველს, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში დაწესებულებას აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად განმახორციელებელ პირებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების პრაქტიკა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობებს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, მასწავლებელთა უმეტესობას პროფესიული განათლების სფეროში მრავალწლიანი პრაქტიკული და პედაგოგიური გამოცდილება აქვს.

ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტრენინგები შეფასების სისტემის, სწავლების მეთოდოლოგიისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის (კალენდარული გეგმების შემუშავების) მიმართულებით, ასევე, მონაწილეობა აქვთ მიღებული უნარების სააგენტოსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, ჩართულნი არიან მოდულური პროგრამების ადაპტირებისა და შემუშავების, ასევე სასწავლო რესურსების განახლების პროცესში. მათ აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება და მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლის, ფაქტობრივი გარემოებების გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს გააჩნიათ პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და მათი შეფასების კომპეტენცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

**4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შიდა მარეგულირებელი წესით განსაზღვრული პროგრამის ხელმძღვანელი, გასაუბრების, სამუშაო აღწერილობისა და პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს შესაბამის დარგობრივ კომპეტენციას და აქვს როგორც აკადემიური ცოდნა, ასევე პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს საკვანძო აკადემიურ და ადმინისტრაციულ რგოლს, რომელიც პასუხისმგებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვაზე, ეფექტიან განხორციელებაზე, სწავლების ხარისხის მონიტორინგსა და მის მუდმივ განვითარებაზე, დადგენილი სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.პროგრამის ხელმძღვანელს უდასტურდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

**5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება. „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება დაწესებულების სამკითხველო დარბაზში რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ინტერნეტის საშუალებით მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია, ისარგებლონ პრინტერით და სურვილის შემთხვევაში ელექტრონული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფორმატით არსებული მასალები ამობეჭდონ. მათთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის სამკითხველო სივრცე და ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურება.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

**6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

დაწესებულებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში (დამტ. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის №36 დადგენილებით) გაწერილი აქვს სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმის ღონისძიებები. აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს: აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს: საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ადამიანური (სასწავლო პროცესის ასისტენტი, ინდივიდუალური ასისტენტი, მძღოლი და სხვა.) და მატერიალური რესურსის მობილიზებას და უზრუნველყოფს სსსმ პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს „სსსმ პირთათვის სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები“ (დამტ. წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 29 დეკემბრის №53 დადგენილებით), სადაც გაწერილია, რომ სსსმ და შშმ სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის/ინკლუზიური განათლების სპეციალისტის / ასისტენტის მეშვეობით. დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ასისტენტის, შშმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირის (ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის) ჩართვას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ინკლუზიური განათლების მიმართულებით პასუხისმგებელ პირს. პირადი საქმის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე დადასტურდა, რომ მას გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის, ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი სერვისების კოორდინაციისათვის. გასაუბრებისას ასევე დადასტურდა მისი ინფორმირებულობა ინკლუზიური განათლების პრინციპების,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხარდამჭერი მექანიზმებისა და დაწესებულებაში მოქმედი პროცედურების შესახებ.ინკლუზიური განათლების მიმართულებით პასუხისმგებელ პირთან გასუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში არ ჰყოლიათ სსსმ სტუდენტი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია.**

**7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

უნივერსიტეტი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსების მექანიზმის ფარგლებში. აღნიშნული ფინანსური მოდელი ქმნის პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსების უზრუნველყოფის საფუძველს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობას.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავლებში გათვალისწინებულია - ვაუჩერული დაფინანსება; ხარჯებში - მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსებიდან), სასწავლო მასალა, პროგრამის განვითარებისკენ მიმართული ხარჯი (პერსონალის, სტუდენტის მხარდაჭერა და პროფესიული განათლების მიზნებისკენ მიმართული სხვა ხარჯი). აღნიშნული ბიუჯეტით პროგრამის რენტაბელობის ზღვარი არის 6 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ დამტკიცებული სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლოის 29 ივნისის N39 დადგენილებით;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- სასწავლო გეგმა;
- შესყიდვის აქტები;
- შესაბამისობის გეგმა;
- პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- „სსსმ პირთათვის სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები“
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა.;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

დაწესებულებას სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების და განვითარების მექანიზმები.პროგრამის შეფასების/ანალიზის დროს დგინდება პროგრამის შესაბამისობა შემდეგ კრიტერიუმებთან:
ა) სასწავლო რესურსის შესაბამისობა მოდულების სწავლის შედეგებთან - სასწავლო რესურსი უნდა იყოს მისაღწევი სწავლის შედეგების რელევანტური. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაში მატერიალური ან/და ელექტრონული სახით;
ბ) მატერიალური რესურსის შესაბამისობა მოდულების სწავლის შედეგებთან - მატერიალური რესურსი უნდა იყოს მისაღწევი სწავლის შედეგების რელევანტური, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისი;
გ) სწავლების მეთოდების რელევანტურობა სწავლის შედეგებთან მიმართებით და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობა;
დ) პროგრამის მოდულების შინაარსის შესაბამისობა სწავლის შედეგებთან;
ე) პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა (მოწმდება რამდენი კურსდამთავრებული და პროფესიული სტუდენტი დასაქმდა პროგრამის მიმართულებით/პროფესიით)
ვ) პროფესიულ სტუდენტთა მოძრაობის სტატისტიკა (ფასდება რამდენი პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა პროგრამაზე, რამდენმა დაამთავრა, რა იყო მათი სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის/მობილობის მიზეზი).
ზ) პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციის შესაბამისობა მათ მიერ განხორციელებული მოდულების სწავლის შედეგებთან;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ) საჭიროების შემთხვევაში სხვა კრიტერიუმებთან (მაგალითად: წარმოებული სასწავლო დოკუმენტაციის ხარისხი - კალენდარული გეგმა, შედეგების შეფასების უწყისი, საგანმანათლებლო პროგრამებიდან პროფესიულ სტუდენტთა გადინების (სტატუსის შეწყვეტა, სტატუსის შეჩერება) მაჩვენებელი; პროგრამაზე აპლიკანტთა რაოდენობის ცვლა (კლება, მატება); პროფესიული სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი, შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასებების ანალიზი (არსებობის შემთხვევაში).

პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ინსტრუქტორებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვას, რისთვისაც იყენებს კითხვარებს (კონკრეტული საჭიროებების მიხედვით). ასევე, შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეთოდი და პირისპირ ინტერვიუ.

პროგრამის შეფასება ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, (მასწავლებლის შეფასება, სწავლის შედეგების შეფასება (ვერიფიკაცია), გამოკითხვები, ფოკუს ჯგუფები, ინტერვიუები), რომლებიც რეგულირდება დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, პერიოდულად, თითოეული მოდულის/განმახორციელებლის გათვალისწინებით ან ვერიფიკაციის წესის შესაბამისად, რისკ ფაქტორებიდან გამომდინარე, ესწრება სასწავლო პროცესს, საკონტაქტო საათის განმავლობაში. პროფესიულ პროგრამებზე ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი აანალიზებს შეგროვებულ მონაცემებს. ანალიზის შედეგად იძლევა პროგრამის განვითარების რეკომენდაციებს. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გაიცეს რეკომენდაცია პროგრამის გაუქმების თაობაზე. საჭიროების შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს ინიცირება მოდულში ცვლილებების თაობაზე. ეს შეიძლება იყოს სწავლების მეთოდების კორექტირება, შეფასების ინსტრუმენტის შეცვლა შეფასების მიმართულების ფარგლებში, სწავლის შედეგებზე საათების გადანაწილების კორექტირება, საგანმანათლებლო რესურსების ან თემატიკის ცვლილება და სხვა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრებების შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, შესაბამისი სექტორის განვითარების ტენდენციები და დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციები. ასევე, პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისას დაწესებულება ეყრდნობა პროფესიული განათლების სფეროში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც ხელს უწყობს პროგრამის აქტუალობის, ხარისხისა და შრომის ბაზართან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმი სრულად ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს, პროფესიული განათლების თანამედროვე ტენდენციებსა და საუკეთესო პრაქტიკას, რაც ქმნის პროგრამების უწყვეტი გაუმჯობესებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საფუძველს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.3.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**
სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ ,რომლის მე-6 მუხლში გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის მექანიზმები და პროცედურა. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია: პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი მექანიზმებით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, ასევე სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე დასაბუთებული წერილობითი ინიციატივა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსის, პროგრამის ხელმძღვანელის, პრაქტიკის ობიექტის/ სასწავლო საწარმოს ან/და დამსაქმებლების, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.3.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“;
- გასაუბრებების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ელექტროობა" განხორციელებისათვის შემუშავებულია სასწავლო გეგმა, რომელი წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურებად. დადგინდა, რომ გეგმა სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ასახავს მოდულების თანმიმდევრობას;
- განსაზღვრავს თითოეული მოდულის განხორციელების კვირეობრივ განრიგს;
- უზრუნველყოფს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მკაფიო გაწერას;
- დაცულია პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გონივრული ოდენობა;

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მიდგომას იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხება არაქართულენოვანი სტუდენტები. მათთვის გათვალისწინებულია ქართული ენის შემავსებელი მოდული, რაც უზრუნველყოფს:

- სასწავლო პროცესში თანაბარ ჩართულობას;
- პროფესიული ლექსიკის დაუფლებას;
- სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით, „ელექტროობა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.1. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისი № 36 დადგენილებით დამტკიცებულია ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის VI თავით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები. დაწესებულება სასწავლო პროცესს გეგმავს და ახორციელებს პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და მხარდაჭერის მიზნით დაწესებულებაში ხორციელდება:პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო, გაცნობითი შეხვედრების ორგანიზება. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო/საორიენტაციო შეხვედრები ტარდება იმ შემთხვევებშიც, როდესაც: ა) იცვლება პროგრამა; ბ) იცვლება სასწავლო გარემო (დუალური და კოოპერაციული პროგრამის შემთხვევაში); გ) იგეგმება შუალედური შეფასება და საკვალიფიკაციო გამოცდა; დ) არსებობს მოთხოვნა პროფესიულ სტუდენტთა მხრიდან ნებისმიერი საკითხის განხილვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თაობაზე; ე) არსებობს მოთხოვნა დასაქმებასთან/სტაჟირებასთან დაკავშირებით; ვ) არსებობს სხვა გარემოება, როცა სავალდებულოა პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალური ან/და ჯგუფურ შეხვედრების ორგანიზება;. საჭიროების შემთხვევაში, არასრულწლოვან/ქმედუუნარო/შეზღუდულქმედუნარიან პროფესიულ სტუდენტთა მიმართებაში დაწესებულება უზრუნველყოფს ინდივიდუალურ შეხვედრებს სტუდენტთა კანონიერ წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს კოორდინაციას უწევს უწევს პროფესიული განათლების ზუგდიდის/სენაკის ცენტრის სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი ან/და პროგრამის ხელმძღვანელი.პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება: პირისპირ კომუნიკაცია, ელ-ფოსტა, სოციალური ქსელის შიდა ჯგუფები.

კომუნიკაციის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და საშუალებას აძლევს დაწესებულებას სწრაფად და ეფექტიანად მოახდინოს რეაგირება მათ მოთხოვნებზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრებების საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის ორგანიზებას, გააჩნია სტუდენტთა მხარდაჭერის განსაზღვრული მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში მოქნილად რეაგირებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ და ჯგუფურ საჭიროებებზე.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.2. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

პროგრამის შესაბამისი სასწავლო რესურსი და მატერიალური ბაზა იძლევა იმის გარანტიას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით, ასევე ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვა რესურსები /თანამედროვე ტექნოლოგიები. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ არა ერთი ტრენინგი სწავლების მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით და აქვთ სწავლების პრაქტიკული გამოცდილება. ასევე გასაუბრების დროს დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ სოციალურ ქსელში არსებულ ჯგუფებში და ელექტრონულ ფოსტაზე პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო რესურსების/ელექტრონული მასალების გაზიარების შესაძლებლობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული არცერთი მოდული ამჟამად დისტანციური ფორმით არ ხორციელდება. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულება უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების განხორციელებისთვის შესაბამისი მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას, მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნულის შესახებ დაწესებულება დადგენილი წესით აცნობებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ამასთან, დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების დანერგვისთვის შესაბამისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და ტექნიკური მექანიზმების შემუშავებას. აღნიშნული პროცესი განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, პროფესიული განათლების მარეგულირებელი აქტებისა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნების შესაბამისად.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ამჟამად არ ხორციელდება დისტანციური ფორმით, დაწესებულებას გააზრებული აქვს საჭიროების შემთხვევაში დისტანციური სწავლების დანერგვისთვის აუცილებელი ორგანიზაციული და მარეგულირებელი წინაპირობების შექმნის მნიშვნელობა და მზადყოფნას გამოთქვამს შესაბამისი მექანიზმების შემუშავებისა და დანერგვისათვის.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისი № 36 დადგენილებით დამტკიცებულა „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელშიც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესაბამისად რეაგირების მექანიზმები, როგორიცაა: ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა, ადმინისტრაციული მხარდაჭერა, სასწავლო და შეფასების პროცესის დაგეგმვისას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისიწინება, მობილობისა, სტატუსის აღდგენის და განათლების აღიარების პროცედურები და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტი ქმნის საფუძველს, რომ სასწავლო პროცესი განხორციელდეს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომით და თითოეულ სტუდენტს მიეცეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობა.

დაწესებულება სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა განსხვავებულ შესაძლებლობებს, წინარე განათლებასა და პროფესიულ გამოცდილებას, საგანმანათლებლო საჭიროებებსა და ინდივიდუალურ გამოწვევებს. საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მოქნილ ორგანიზებას მისი საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, მათ შორის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, შესაბამის პროცედურებში დახმარებასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების დროულ გადაწყვეტას როგორც ადაპტაციის ეტაპზე, ისე პროგრამის განხორციელების პერიოდში.

სასწავლო და შეფასების პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების ინტერესები და ინდივიდუალური საჭიროებები. შეფასების პროცესი ეფუძნება მოქნილობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა შესაბამისი მხარდაჭერა სწავლის შედეგების დასადასტურებლად.

პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას ასევე უზრუნველყოფს დაწესებულებაში მოქმედი პროცედურები, რომლებიც არეგულირებს მობილობას, სტატუსის აღდგენას, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების აღიარებასა და სწავლის პროცესში წარმოშობილი განსაკუთრებული გარემოებების მართვას. აღნიშნული პროცესები ხორციელდება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ხელმძღვანელის, სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებების დაცვასა და სასწავლო პროცესში მათ უწყვეტ ჩართულობას.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებით დადასტურდა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები იცნობენ პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ ინდივიდუალურ მხარდაჭერას. პროგრამის ხელმძღვანელები და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები პროფესიულ სტუდენტებთან მუდმივი კომუნიკაციის საფუძველზე დროულად ავლენენ სწავლის პროცესში წარმოშობილ საჭიროებებს და ახორციელებენ შესაბამის რეაგირებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრებების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას გააჩნია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების შესაბამისი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში თანაბარი შესაძლებლობების შექმნას, სტუდენტთა მხარდაჭერას და პროფესიული განათლების ხარისხიან განხორციელებას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობა“ ხორციელდება კოოპერაციული სწავლების ფორმით.პროგრამის მოდულების: „ელექტრული ტექნოლოგია“ (07.24.1.5), სწავლის შედეგი 5: „სფეროში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპები“ და „ელექტროსამონტაჟო სამუშაოები“ ( 07.24.1.5), სწავლის შედეგი 4: ,,ელექტრომოწყობილობების მონტაჟი და ტექნიკური მომსახურება“ და სწავლის შედეგი 5: ,,დამიწების კონტურის მოწყობა“ განხორციელების მიზნით,დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პარტნიორ ორგანიზაციასთნ სს ენერგო- პრო ჯორჯიასთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის პერიოდში უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა აღნიშნულ ორგანიზაციასთან 2026 წლის 21 ივლისს გაფორმებული №1/26 განახლებული ხელშეკრულება. ხელშეკრულებით განსაზღვრულია პრაქტიკის ობიექტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა (30), განსახორციელებელი მოდულების ჩამონათვალი, ასევე ინსტრუქტორის ფუნქციები და მოვალეობები.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ინსტრუქტორის პირად საქმეს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადასტურდა მისი კომპეტენცია ელექტროობის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ხარისხიან განხორციელებას პრაქტიკულ გარემოში.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა პარტნიორი ორგანიზაციის დათვალიერება და შეხვდა მათ წარმომადგენლებს. ადგილზე ვიზუალური დათვალიერებისა და გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პარტნიორ ორგანიზაციებს გააჩნიათ პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ადამიანური რესურსი და ორგანიზაციული შესაძლებლობები ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოდულების სწავლების.

პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუებისას გამოიკვეთა მათი მზაობა პროფესიული სტუდენტების მიღებისა და პრაქტიკული საქმიანობის პროცესში ჩართულობისათვის.

აღსანიშნავია, რომ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილების მოთხოვნათა დაცვით, ხელშეკრულება მოქმედია. მასში მკაფიოდ არის განსაზღვრული მხარეთა ვალდებულებები, პრაქტიკის განხორციელების პირობები და სტუდენტთა ის რაოდენობა, რომლის მიღებაც პარტნიორ ორგანიზაციას შეუძლია.

შესაბამისად, დაწესებულების მიერ პარტნიორ ორგანიზაციასთან დამყარებული თანამშრომლობა ქმნის სათანადო საფუძველს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ კოოპერაციული სწავლების ფორმით ეფექტიანი განხორციელებისთვის და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას რეალურ სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული პრაქტიკული გამოცდილების მიღების გზით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

პროგრამით განსაზღვრული მოდულები განხორციელდება დაწესებულების აუდიტორიებში(სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო, გამოკრულია უსაფრთხოების ნორმები) და პარტნიორი ორგანიზაციის ბაზებზე. დაწესებულებას ზოგადი უსაფრთხოების ნორმები გაწერილი აქვს „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტში“ (დამტ. წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 29 დეკემბრის N53 დადგენილებით), ხოლო პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.6 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“*
- *,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“,*
- *საგანმანათლებლო პროგრამის ,, ელექტროობა“ სასწავლო გეგმა;*
- „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი“
- *პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება;*
- *დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;*
- *პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლთან ინტერვიურების შედეგები.*

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისი №36 დადგენილებით დამტკიცებულია ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესი. რომლის მიხედვითაც ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. პროფესიული სტუდენტებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია მოდულის შესაბამისად და იგი წინასწარ არის ცნობილი პროფესიული სტუდენტებისთვის. მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას, სადაც დგინდება/მოწმდება მისი შესაბამისობა მოდულით განსაზღვრულ შედეგების კრიტერიუმებთან, მტკიცებულებებსა და შეფასების მიმართულებებთან. ვალიდაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება აქვს ვალიდაციის ჯგუფს. ვალიდაციის ჯგუფში შედიან: შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები/მოდულის განმახორციელებლები, სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი/პირები. შეფასების პროცესამდე მინიმუმ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოდულის განმახორციელებელი ვალიდაციისთვის შესაბამის პირებს უგზავნის/წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს. ვალიდაციის პროცესს კოორდინირებას უწევენ სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი; ხარვეზის დადგენისათვის ვადა განისაზღვრება 2 (ორი) დღით. ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი რეკომენდაციით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს/მოდულის განმახორციელებელს, რომელიც ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული ვერსია. პროფესიული სტუდენტის შეფასებამდე ვალიდაციისას მიმდინარეობს კომუნიკაცია ზეპირი/ელექტრონული ფორმით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითობის პრინციპით გამოთხოვილი იქნა მილევად რეჟიმში განხორციელებული პროგრამების შეფასების ინტრუმენტები და მტკიცებულებები. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ინსტრუმენტის შინაარსი შეესაბამებოდა შიდა მარეგულრებელი დოკუმენტებით გაწერილ წესებს, დავალების მოცემულობა შესაბამისობაში იყო შეფასების კრიტერიუმებთან და სრულად აფასებდა სწავლის შედეგის მიღწევას.

წარმოდგენილი რეგულაციები და შეფასების პროცედურები ადასტურებს, რომ დაწესებულებაში შექმნილია პროფესიული სტუდენტების შეფასების გამჭვირვალე, სამართლიანი და ხარისხზე ორიენტირებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების ობიექტურ შეფასებასა და პროფესიული კომპეტენციების დადასტურებას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.2.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, (დამტ. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2025 წლის 26 აგვისტოს №41 დადგენილებით). აღნიშნული მექანიზმის თანახმად დაწესებულება ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შეფასების შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). პროცესის სირთულიდან გამომდინარე, ვერიფიკაცია ხდება შერჩევითი პრინციპით. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შეიმუშავებს რისკების სისტემას. ეს შესაძლოა იყოს: დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი, სანდო პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა, საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება და სხვა. ვერიფიკაციის პროცესს ხელმძღვანელობს პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ვერიფიკაციის იმ ნაწილს განახორციელებს, რაც დარგის კომპეტენციას არ მოითხოვს. ვერიფიკაციის პროცესში იმ ნაწილს, რომელიც დარგის ცოდნას მოითხოვს, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით, მონაწილეობს დარგის სპეციალისტი. დაწესებულებამ წარმოადგინა ადმინისტრაციული პერსონალისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების შეხვედრის ოქმი და ადმინისტრაციული პერსონალისა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციაში ჩართული პირების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეხვედრის ოქმი. აღნიშნული ოქმების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულება ვერიფიკაციის პროცესის ჩატარებამდე განსაზღვრავს ვერიფიკაციაში მონაწილე პირების ვინაობას (ინტერესთა კონფლიქტის დაცვით), განსაზღვრავს ვერიფიკაციის ვადებს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და მოდულებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის დოკუმენტაციისა და ოქმების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში მოქმედი ვერიფიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ხარისხის კონტროლსა და შეფასების სისტემის სანდოობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.2.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

დაწესებულებას „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" დადგენილი აქვს მტკიცებულების შენახვის წესი და ვადები. მტკიცებულებები დაცულია და ინახება მოდულის შესაბამისი უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შემდგომ ნადგურდება სასწავლო უნივერსიტეტში შესაბამისი წესით. მტკიცებულებებიდან საუკეთესო შესაძლებელია გადაეცეს უნივერსიტეტის არქივს ან სურვილისებრ პროფესიულ სტუდენტს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.2.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დაწესებულებას „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმში" (დამტ. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2025 წლის 26 აგვისტოს №41 დადგენილებით) გაწერილი აქვს სტუდენტთა შეფასების შედეგების სტუდენტების შემდგომი განვითარებისათვის გამოყენების მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებით ხორციელდება: ა) აკადემიური გამოწვევის იდენტიფიცირების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელის ან/და მოდულის განმახორციელებლის მიერ სტუდენტისთვის ინდივიდუალური მხარდაჭერის საჭიროების იდენტიფიცირება (კონსულტაციის გაწევა, მასალების დამატებით მიწოდება, სხვა დამხმარე აქტივობები) ბ) წარმატებული სტუდენტების შემდგომი განვითარებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით, პროფესიული სტუდენტისთვის დამატებითი წამახალისებელი აქტივობების შეთავაზება (კონკურსები, კონფერენციები, მასტერკლასები, სტიპენდია, ვორქშოპები, პროექტები და ა.შ.). პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებზე მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.2.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- *გასაუბრების შედეგები.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ,,ინფორმაციის ტექნოლოგია“
ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | **☐ შეესაბამება**<br>**■ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება**<br>**■ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*წარმოების ფარგლებში ხარვეზი არ გამოვლენილა.*

## III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*II სტანდარტი*

*ინდიკატორი 2.2.1.1*
*დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 ივნისის N40 (ცვლილება: 2026 წლის 28 ივლისი N49 დადგენილება) დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (2.2.1 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში - 26 დეკემბერი 2026 წელი - უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ სრულყოფილი განხორციელებისთვის საჭირო დამატებითი მატერიალური რესურსის შეძენა.*

## IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

*წარმოების ფარგლებში განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

**სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენციით (2026 წლის 24 აგვისტოს წერილი N0001084858) დგინდება, რომ დაწესებულება ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.**

## ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## V. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ინფორმაციის ტექნოლოგია |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | 2026 წლის 29 ივნისი, აკადემიური საბჭოს დადგენილება №39 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. სენაკი, მშვიდობის ქუჩა N192 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებული სამუშო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 55 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 70 |

**II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

**ნაწილი IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ინფორმაციის ტექნოლოგია“ სრულად შეესაბამება დაწესებულების საგანმანათლებლო პროფილსა და სტრატეგიულ მიზნებს. პროგრამის შემუშავების პროცედურა განხორციელდა უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტის - ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის“ შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, უნივერსიტეტი კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შეიმუშავებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინიცირება ხდება უნივერსიტეტის პროფესიული განათლების დეპარტამენტის მიერ და დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის უფლებამოსილ ორგანოს/პირს. პროფესიული პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც უნდა მოიცავდეს: პროგრამის მიზანშეწონილების კვლევას (შრომის ბაზრის კვლევას ან/და დამსაქმებლის მხრიდან მომართვიანობას ან/და რეგიონის განვითარების სტრატეგიას ან/და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელს და სხვ.). პროგრამის ინიცირების შემდეგ უნივერსიტერის რექტორის ბრძანებით იქმნება პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფი, რომელიც ქმნის საგანმანათლებლო პროგრამას. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პროგრამა შეფასებისათვის გადაეცემა პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორს. იგი შეისწავლის პროგრამას და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასცემს რეკომენდაციებს ან დადებით დასკვნას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი დადებითი დასკვნის საფუძველზე, პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საბოლოო პაკეტს წარუდგენს დასამტკიცებლად უნივერსიტეტის უფლებამოსილ ორგანოს.

პროგრამის შესაბამისობა დაწესებულების მისიასა და სტრატეგიასთან დასტურდება შემდეგი ფაქტობრივი გარემოებებით:

- უნივერსიტეტის მისიის მიხედვით დაწესებულება ორიენტირებულია რეგიონში თანამედროვე მოთხოვნებზე დაფუძნებული, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი მრავალდარგოვანი განათლების უზრუნველყოფასა და ადამიანური კაპიტალის გაძლიერებაზე.
- პროგრამის ინიცირება პასუხობს უნივერსიტეტის პროფესიული განათლების პოლიტიკის დოკუმენტის (2025-2031 წწ.) მთავარ სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს (კერძოდ, ამოცანა 1.2 და 4.6), რომლებიც ითვალისწინებენ შრომის ბაზრის დეტალურ ანალიზზე დაყრდნობით ახალი, ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური სასწავლო კურსების დანერგვასა და რეგიონში ციფრული კომპეტენციების ამაღლებას.
- პროგრამა წარმოადგენს ინსტიტუციური განვითარების გეგმის ორგანულ ნაწილს, მიმართულია ადგილობრივი თვითმმართველობისა (მერია) და ბიზნესსექტორის მიერ იდენტიფიცირებული საკადრო დეფიციტის აღმოფხვრისკენ.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კვლევით — „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა“. აღნიშნული დოკუმენტის ანალიზის მიხედვით, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის ტექნიკოსების (IT Support) პოზიციაზე გამოცხადებული ვაკანსიების 28% რჩება შეუვსებელი ბაზარზე შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების არარსებობის გამო.
- პოტენციური დამსაქმებლებისგან მიღებული ოფიციალური უკუკავშირის (წერილებისა და მემორანდუმების) ანალიზი ნათლად ადასტურებს რეგიონში „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ კვალიფიკაციის მქონე კადრების მიმართულებით საჭიროებას. კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (მერია) და რეგიონის უმსხვილესი კერძო სექტორის წარმომადგენლები (მაგალითად, შპს „ზუგდიდი მოლი“) თავიანთ მოწერილობაში ხაზს უსვამენ, რომ დღის წესრიგში მუდმივად დგას ციფრული ტექნოლოგიების (IT) სპეციალისტების მიღების საჭიროება.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ინფორმაციის ტექნოლოგია" დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტსა და მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს საბაზო ზოგადი განათლება.

პროფესიულ სტუდენტთა პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პროცედურები რეგულირდება შიდა მარეგულირებელი აქტით - ,,პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის წესით"(დამტკიცებულია სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის № 36 დადგენილებით) , რომელიც შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მიმდინარე მოთხოვნებს. დაშვების წინაპირობებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების ლოგიკური ჯაჭვი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტის წინარე ცოდნა იყოს ადეკვატური საიმისოდ, რათა პროგრამით განსაზღვრულ ვადებში (სწავლების ინტენსივობის გათვალისწინებით) ეტაპობრივად მიღწეულ იქნეს ყველა პროფესიული კომპეტენცია. შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და მიღების პროცედურები უზრუნველყოფს ისეთ პირთა დაშვებას, რომლებიც პროგრამის განხორციელების ვადაში შეძლებენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის შესაბამისი მარეგულირებელი აქტით ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესით" (დამტკიცებულია : წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 29 დეკემბრის N53 დადგენილებით), რომლის მიხედვითაც სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება არსებული რესურსის გათვალისწინებით. წინამდებარე წესის მიხედვით, უნივერსიტეტი სასწავლო პროცესს წარმართავს ორ მუნიციპალიტეტში,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემდეგ მისამართებზე: ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14 და სენაკი, მშვიდობის ქ.N192. უნივერსიტეტში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო - A, B და C. დასაშვებია გარემოს სხვადასხვა მოდელი ერთ სივრცეშიც იყოს განთავსებული, მაგალითად, ერთ სივრცეში არსებობდეს ერთდროულად A და C, A და B, B და C, A, B და C გარემო.

A ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის. აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და კომპიუტერით ან ლეპტოპით, ასევე დემონსტრირების საშუალებით (პროექტორი ან ეკრანი ან ინტერაქტიული დაფა). შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება სწავლების შერჩეული მეთოდის გამოსაყენებლად.

B ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემებისა და რაოდენობის კომპიუტერით (1 პროფესიულ სტუდენტზე 1 კომპიუტერი), მასწავლებლის მაგიდითა და კომპიუტერით ან ლეპტოპით, პრინტერითა და დემონსტრირების საშუალებით (პროექტორი ან ეკრანი ან ინტერაქტიული დაფა). B გარემოში შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება.

C ტიპის სასწავლო გარემო - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობის შიგნით. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აღჭურვილობის ნორმატივები დადგენილია ინდივიდუალურად მოდულების შესაბამისად.

პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გარემოსა და მატერიალურ რესურსთან მიმართებაში მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოსთან მიმართებაში გათვალისწინებულია ფართი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად (არსებობის შემთხვევაში) და რესურსი პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რაოდენობის გათვალისწინებით;

უნივერსიტეტში დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელების კვირეული დატვირთვის, სხვადასხვა ცვლებში მუშაობისა და შეჭრილი ცხრილების გათვალისწინებით; კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია პროგრამისათვის გამოყოფილი სასწავლო გარემოს ოდენობა. რაც მეტია გარემო, მით მეტია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა გამტარიანობა; კვოტის განსაზღვრის დროს ძირითად შემზღუდავ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფაქტორს წარმოადგენს სასწავლო გარემოს ფართი. ის უნდა აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. რამდენიმე გარემოს არსებობის შემთხვევაში კვოტა ეყრდნობა ყველაზე მცირე მოცულობის ფართს, შესაბამისი აღჭურვილობის გათვალისწინებით; ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობა განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად, ყველა გარემოს რესურსიდან უმცირესის გათვალისწინებით.

დაწესებულებაკვოტის განსაზღვრისას ითვალისწინებს პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებელი პირის, ასევე კოოპერაციული სწავლების დროს, პრაქტიკული კომპონენტების განმახორციელებელი პირების/ინსტრუქტორის რაოდენობას. შესაძლებელია კონკრეტულმა პროფესიულმა სტანდარტმა/საგანმანათლებლო სტანდარტმა შეზღუდოს ინსტრუქტორების რაოდენობა პროფესიული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

პროგრამის ეფექტურად განხორციელებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია ერთი A ტიპის და ერთი B ტიპის სასწავლო გარემო. პროგრამის მოდულების განხორციელებისთვის დამტკიცებულია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და რესურსების სია, რომელიც სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსების შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტთან. საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა განხორციელებულია პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების მიერ და ეფუძნება მოდულების შინაარსს, სწავლების მიზნებსა და თემატურ მიმართულებებს. არსებული მატერიალური, ადამიანური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან განხორციელებასა და პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
მონაცემების ანალიზი ადასტურებს, რომ აუდიტორიების რაოდენობა იძლევა შესაძლებლობას, თითოეული პროფესიული სტუდენტი უზრუნველყოფილი იყოს ინდივიდუალური სამუშაო ადგილით, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროფესიული კომპეტენციების ფორმირებისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნული რესურსების, სასწავლო ფართის გამტარუნარიანობისა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოთხოვნილი 40 სტუდენტი წარმოადგენს რეალისტურ და დასაშვებ ზღვრულ რაოდენობას.ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა დაწესებულების მატერიალური და ელექტრონული სასწავლო რესურსები. შეფასების შედეგად დადგინდა შემდეგი:

დაწესებულების ფლობაში არსებული სასწავლო რესურსი სრულად შეესაბამება „ინფორმაციის ტექნოლოგია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ძირითად სასწავლო ლიტერატურას. ბიბლიოთეკაში დაცული რესურსები პასუხობს პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

სასწავლო მასალები ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია როგორც მატერიალური (ბეჭდური), ისე ელექტრონული სახით, რაც სტუდენტებს აძლევს არჩევანის და სწავლის პროცესის მოქნილად წარმართვის შესაძლებლობას.

დაწესებულება სრულად ფლობს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ სასწავლო რესურსს, ხოლო მათი მრავალფეროვნება (მატერიალური და ციფრული) ხელს უწყობს სწავლის ხარისხის მდგრადობასა და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ინფორმაციის ტექნოლოგია“ არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, უნივერსიტეტში პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილია აკადემიური საბჭო. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია 2026 წლის 29 ივნისის, აკადემიური საბჭოს №39 დადგენილებით.( ცვლილება განხორციელდა 2026 წლის 17 ივლისის, აკადემიური საბჭოს №47 დადგენილებით.)

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.6 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

შეფასების პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის, მოდულების შინაარსისა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის სახელწოდება ,,ინფორმაციის ტექნოლოგია“, სრულ შესაბამისობაშია მის შინაარსთან, მიზნებთან, მისაღწევ პროფესიულ კომპეტენციებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.7 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით**

სსიპ -შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი „ინფორმაციის ტექნოლოგია“ პროგრამა შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული რეგულაციების (სსიპ- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება - დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის ბრძანება №131/ნ-ით; „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ დამტკიცებული 2026 წლის 26 ივნისის № 36 დადგენილებით სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო მიერ. „აკადემიური საბჭოს დებულება“ დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2024 წლის 23 დეკემბრის N69 დადგენილებით, ) პროგრამა ეფუძნება შესაბამის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტს (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი: - 06.3.1 და სრულად შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ყველა სავალდებულო ელემენტს: მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, დაშვების წინაპირობებს,სწავლის შედეგებსა და მათ დეტალურ აღწერას, შეფასების სისტემას, სწავლების მეთოდოლოგიას, დასაქმების სფეროებს, ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ, პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმა, მოდულები, წარმოდგენილია ინფორმაცია მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ. პროგრამაში ინტეგრირებულია ქართული ენის მოდული (A2 დონე). აღნიშნული კომპონენტი უზრუნველყოფს არაქართულენოვანი სტუდენტების მომზადებასა და მათ სრულფასოვან ჩართვას სასწავლო პროცესში, რაც უნივერსიტეტის ინკლუზიურ გარემოზე მიუთითებს. პროგრამა მოიცავს საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის განსაზღვრულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულებს, სულ 55 კრედიტის მოცულობით - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის და 70 კრედიტს - არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.8 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ (დამტკიცებულია: აკადემიური საბჭოს მიერ 2026 წლის 29 ივნისის N39 დადგენილებით);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი;
- დაწესებულების მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროგრამის სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- პროფესიული პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის წესი;
- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დებულება;
- ვიზუალური დათვალიერება;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას 2.2.1.1 ინდიკატორის ფარგლებში წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა,რომელიც დამტიცებულია სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 ივნისის N40 დადგენილებით.(შევიდა ცვლილება სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 28 ივლისის N49 დადგენილებით), რომლის თანახმად დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის მატერიალური რესურსების სრულყოფას უზრუნველყოფს 2026 წლის 26 დეკემბერს. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას დაწყებული აქვთ შესაბამისობის გემით გათვალისწინებული განსახორციელებელი აქტივობები. დაწესებულებას შესაბამისობის გეგმით შესაძენი აქვს შემდეგი მატერიალური რესურსები: IP კამერა, NVR, მყარი დისკი, სატელეფონო სადგური, IP ტელეფონი, კომუტატორი. აღნიშნული რესურსები საჭიროა მოდულის: ,,კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები" სწავლის შედეგის მიღწევის უზრუნველსაყოფად, რომელიც სასწავლო გეგმით იწყება 31-ე კვირას, (მეორე სასწავლო წელს).

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით დადასტურდა,რომ აღნიშნული რესურსების შეძენა მოხდება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. ამ ეტაპზე მათი არარსებობა ხელს არ უშლის სასწავლო პროცესის განხორციელებას დაწყებას, ვინაიდან სასწავლო გეგმის შესაბამისად, სწავლების დაწყებიდან გათვალისწინებული მოდულების განხორციელება არ საჭიროებს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ზემოთ ჩამოთვლილ მატერიალურ რესურსებს 2026 წლის 26 დეკემბრამდე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ,,ინფორმაციის ტექნოლოგია" ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის გამოყოფილი აქვს შესაბამისი გარემოები. შოთა მესხიას ზსუ, სენაკის ცენტრისთვის დაწესებულებას,პროგრამის განხორციელების ფარგლებში გამოყოფილი აქვს ერთი A ტიპის სასწავლო და ერთი B ტიპის სასწავლო აუდიტორიები, აღნიშნული აუდიტორიები უზრუნველყოფს პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია" თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებას. გარემო აღჭურვილია 20 პროფესიული სტუდენტის სამუშაო მაგიდითა და სკამით, შესაბამისი მონაცემის 20 კომპიუტერით სტუდენტთათვის.

დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე, სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული აქვს 40 პროფესიული სტუდენტი (წელიწადში დაწესებულება გეგმავს მიიღოს 20 პროფესიული სტუდენტი).

**დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 ივნისის N40 (ცვლილება: 2026 წლის 28 ივლისი N49 დადგენილება) დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (2.2.1 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში - 26 დეკემბერი 2026 წელი - უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციის ტექნოლოგია" სრულყოფილი განხორციელებისთვის საჭირო დამატებითი მატერიალური რესურსის შეძენა.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.1 მეტწილად დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

**2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციის ტექნოლოგია“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 7 პროფესიული მოდულების, 6 ზოგადი მოდულების განმახორციელებელია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. წარმოდგენილი მასალებითა და გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებას რიგ მოდულებზე ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით განმახორციელებელ პირებთან დადებულია შეთანხმებები, რომლებიც ითვალისწინებს ავტორიზაციის მიღების შემდეგ შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებას. პრაქტიკის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პირად საქმეებში არსებული შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებული იყო მილევადი რეჟიმის პროგრამის ფარგლებში. ხელშეკრულებები შეიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ არსებით პირობებს და აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის საფუძველს, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში დაწესებულებას აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად განმახორციელებელ პირებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების პრაქტიკა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობებს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, მასწავლებელთა უმეტესობას პროფესიული განათლების სფეროში მრავალწლიანი პრაქტიკული და პედაგოგიური გამოცდილება აქვს.

ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტრენინგები შეფასების სისტემის, სწავლების მეთოდოლოგიისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის (კალენდარული გეგმების შემუშავების) მიმართულებით, ასევე, მონაწილეობა აქვთ მიღებული უნარების სააგენტოსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, ჩართულნი არიან მოდულური პროგრამების ადაპტირებისა და შემუშავების, ასევე სასწავლო რესურსების განახლების პროცესში. მათ აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება და მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლის, ფაქტობრივი გარემოებების გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს გააჩნიათ პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და მათი შეფასების კომპეტენცია.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

**4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შიდა მარეგულირებელი წესით განსაზღვრული პროგრამის ხელმძღვანელი, გასაუბრების, სამუშაო აღწერილობისა და პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს შესაბამის დარგობრივ კომპეტენციას და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქვს როგორც აკადემიური ცოდნა, ასევე პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს საკვანძო აკადემიურ და ადმინისტრაციულ რგოლს, რომელიც პასუხისმგებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვაზე, ეფექტიან განხორციელებაზე, სწავლების ხარისხის მონიტორინგსა და მის მუდმივ განვითარებაზე, დადგენილი სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.პროგრამის ხელმძღვანელს უდასტურდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

**5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება. „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება დაწესებულების სამკითხველო დარბაზში, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ინტერნეტის საშუალებით მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია, ისარგებლონ პრინტერით და სურვილის შემთხვევაში ელექტრონული ფორმატით არსებული მასალები ამობეჭდონ. მათთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის სამკითხველო სივრცე და ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურება.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

**6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში (დამტ. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის №36 დადგენილებით) გაწერილი აქვს სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმის ღონისძიებები. აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს: აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს: საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ადამიანური (სასწავლო პროცესის ასისტენტი, ინდივიდუალური ასისტენტი, მძღოლი და სხვა.) და მატერიალური რესურსის მობილიზებას და უზრუნველყოფს სსსმ პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს „სსსმ პირთათვის სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები“ (დამტ. წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 29 დეკემბრის №53 დადგენილებით), სადაც გაწერილია, რომ სსსმ და შშმ სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის/ინკლუზიური განათლების სპეციალისტის / ასისტენტის მეშვეობით. დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ასისტენტის, შშმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირის (ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის) ჩართვას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ინკლუზიური განათლების მიმართულებით პასუხისმგებელ პირს. პირადი საქმის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე დადასტურდა, რომ მას გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის, ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი სერვისების კოორდინაციისათვის. გასაუბრებისას ასევე დადასტურდა მისი ინფორმირებულობა ინკლუზიური განათლების პრინციპების, მხარდამჭერი მექანიზმებისა და დაწესებულებაში მოქმედი პროცედურების შესახებ. ინკლუზიური განათლების მიმართულებით პასუხისმგებელ პირთან გასუბრებით დადგინდა, რომ მილევად რეჟიმში განხორციელებული პროგრამის ფარგლებში ერთი სსსმ სტატუსის მქონე სტუდენტი ირიცხება; დაწესებულების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს აღნიშნულ სტუდენტთან მუშაობისას შესაბამისი მტკიცებულებები (ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმები, ადაპტირებული დავალებები, რესურსები და სხვ.), რომლებიც შესაბამისია მის მიერვე გაწერილ რეგულაციასთან.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია.**

**7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნივერსიტეტი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსების მექანიზმის ფარგლებში. აღნიშნული ფინანსური მოდელი ქმნის პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსების უზრუნველყოფის საფუძველს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობას.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავლებში გათვალისწინებულია - ვაუჩერული დაფინანსება; ხარჯებში - მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსებიდან), სასწავლო მასალა, პროგრამის განვითარებისკენ მიმართული ხარჯი (პერსონალის, სტუდენტის მხარდაჭერა და პროფესიული განათლების მიზნებისკენ მიმართული სხვა ხარჯი). აღნიშნული ბიუჯეტით პროგრამის რენტაბელობის ზღვარი არის 5 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები;
- სასწავლო გეგმა;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- „სსსმ პირთათვის სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები“;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია;
- შესაბამისობის გეგმა;
- შესყიდვის აქტები;
- ვიზუალური დათვალიერების და ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების და განვითარების მექანიზმები.პროგრამის შეფასების/ანალიზის დროს დგინდება პროგრამის შესაბამისობა შემდეგ კრიტერიუმებთან:

ა) სასწავლო რესურსის შესაბამისობა მოდულების სწავლის შედეგებთან - სასწავლო რესურსი უნდა იყოს მისაღწევი სწავლის შედეგების რელევანტური. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაში მატერიალური ან/და ელექტრონული სახით;

ბ) მატერიალური რესურსის შესაბამისობა მოდულების სწავლის შედეგებთან - მატერიალური რესურსი უნდა იყოს მისაღწევი სწავლის შედეგების რელევანტური, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისი;

გ) სწავლების მეთოდების რელევანტურობა სწავლის შედეგებთან მიმართებით და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობა;

დ) პროგრამის მოდულების შინაარსის შესაბამისობა სწავლის შედეგებთან;

ე) პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა (მოწმდება რამდენი კურსდამთავრებული და პროფესიული სტუდენტი დასაქმდა პროგრამის მიმართულებით/პროფესიით)

ვ) პროფესიულ სტუდენტთა მოძრაობის სტატისტიკა (ფასდება რამდენი პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა პროგრამაზე, რამდენმა დაამთავრა, რა იყო მათი სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის/მობილობის მიზეზი).

ზ) პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციის შესაბამისობა მათ მიერ განხორციელებული მოდულების სწავლის შედეგებთან;

თ) საჭიროების შემთხვევაში სხვა კრიტერიუმებთან (მაგალითად: წარმოებული სასწავლო დოკუმენტაციის ხარისხი - კალენდარული გეგმა, შედეგების შეფასების უწყისი, საგანმანათლებლო პროგრამებიდან პროფესიულ სტუდენტთა გადინების (სტატუსის შეწყვეტა, სტატუსის შეჩერება) მაჩვენებელი; პროგრამაზე აპლიკანტთა რაოდენობის ცვლა (კლება, მატება); პროფესიული სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი, შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასებების ანალიზი (არსებობის შემთხვევაში).

პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ინსტრუქტორებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვას, რისთვისაც იყენებს კითხვარებს (კონკრეტული საჭიროებების მიხედვით). ასევე, შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეთოდი და პირისპირ ინტერვიუ.

პროგრამის შეფასება ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, (მასწავლებლის შეფასება, სწავლის შედეგების შეფასება (ვერიფიკაცია), გამოკითხვები, ფოკუს ჯგუფები, ინტერვიუები), რომლებიც რეგულირდება დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირი, პერიოდულად, თითოეული მოდულის/განმახორციელებლის გათვალისწინებით ან ვერიფიკაციის წესის შესაბამისად, რისკ ფაქტორებიდან გამომდინარე, ესწრება სასწავლო პროცესს, საკონტაქტო საათის განმავლობაში. პროფესიულ პროგრამებზე ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი ანალიზებს შეგროვებულ მონაცემებს. ანალიზის შედეგად იძლევა პროგრამის განვითარების რეკომენდაციებს. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გაიცეს რეკომენდაცია პროგრამის გაუქმების თაობაზე. საჭიროების შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს ინიცირება მოდულში ცვლილებების თაობაზე. ეს შეიძლება იყოს სწავლების მეთოდების კორექტირება, შეფასების ინსტრუმენტის შეცვლა შეფასების მიმართულების ფარგლებში, სწავლის შედეგებზე საათების გადანაწილების კორექტირება, საგანმანათლებლო რესურსების ან თემატიკის ცვლილება და სხვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრებების შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, შესაბამისი სექტორის განვითარების ტენდენციები და დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციები. ასევე, პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისას დაწესებულება ეყრდნობა პროფესიული განათლების სფეროში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც ხელს უწყობს პროგრამის აქტუალობის, ხარისხისა და შრომის ბაზართან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმი სრულად ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს, პროფესიული განათლების თანამედროვე ტენდენციებსა და საუკეთესო პრაქტიკას, რაც ქმნის პროგრამების უწყვეტი გაუმჯობესებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საფუძველს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.3.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი", რომლის მე-6 მუხლში გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის მექანიზმები და პროცედურა. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია: პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადგილის ცვლილების შემთხვევაში; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი მექანიზმებით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, ასევე სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე დასაბუთებული წერილობითი ინიციატივა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსის, პროგრამის ხელმძღვანელის, პრაქტიკის ობიექტის/ სასწავლო საწარმოს ან/და დამსაქმებლების, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.3.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი";
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**
**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციის ტექნოლოგია" განხორციელებისათვის შემუშავებულია სასწავლო გეგმა, რომელი წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურებად. დადგინდა, რომ გეგმა სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს:

- ასახავს მოდულების თანმიმდევრობას;
- განსაზღვრავს თითოეული მოდულის განხორციელების კვირეობრივ განრიგს;
- უზრუნველყოფს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მკაფიო გაწერას;
- დაცულია პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გონივრული ოდენობა;

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მიდგომას იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხება არაქართულენოვანი სტუდენტები. მათთვის გათვალისწინებულია ქართული ენის შემავსებელი მოდული, რაც უზრუნველყოფს:

- სასწავლო პროცესში თანაბარ ჩართულობას;
- პროფესიული ლექსიკის დაუფლებას;
- სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ,,ინფორმაციის ტექნოლოგია” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.1. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

სსიპ -შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისი № 36 დადგენილებით დამტკიცებულია ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის VI თავით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები. დაწესებულება სასწავლო პროცესს გეგმავს და ახორციელებს პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და მხარდაჭერის მიზნით დაწესებულებაში ხორციელდება:პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო, გაცნობითი შეხვედრების ორგანიზება. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო/საორიენტაციო შეხვედრები ტარდება იმ შემთხვევებშიც, როდესაც: ა) იცვლება პროგრამა; ბ) იცვლება სასწავლო გარემო (დუალური და კოოპერაციული პროგრამის შემთხვევაში); გ) იგეგმება შუალედური შეფასება და საკვალიფიკაციო გამოცდა; დ) არსებობს მოთხოვნა პროფესიულ სტუდენტთა მხრიდან ნებისმიერი საკითხის განხილვის თაობაზე; ე) არსებობს მოთხოვნა დასაქმებასთან/სტაჟირებასთან დაკავშირებით; ვ) არსებობს სხვა გარემოება, როცა სავალდებულოა პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალური ან/და ჯგუფურ შეხვედრების ორგანიზება;. საჭიროების შემთხვევაში, არასრულწლოვან/ქმედუუნარო/შეზღუდულქმედუნარიან პროფესიულ სტუდენტთა მიმართებაში დაწესებულება უზრუნველყოფს ინდივიდუალურ შეხვედრებს სტუდენტთა კანონიერ წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს კოორდინაციას უწევს უწევს პროფესიული განათლების ზუგდიდის/სენაკის ცენტრის სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი ან/და პროგრამის ხელმძღვანელი.პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება: პირისპირ კომუნიკაცია, ელ-ფოსტა, სოციალური ქსელის შიდა ჯგუფები.

კომუნიკაციის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და საშუალებას აძლევს დაწესებულებას სწრაფად და ეფექტიანად მოახდინოს რეაგირება მათ მოთხოვნებზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრებების საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის ორგანიზებას, გააჩნია სტუდენტთა მხარდაჭერის განსაზღვრული მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში მოქნილად რეაგირებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ და ჯგუფურ საჭიროებებზე.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.2. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

პროგრამის შესაბამისი სასწავლო რესურსი და მატერიალური ბაზა იძლევა იმის გარანტიას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით, ასევე ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები /თანამედროვე ტექნოლოგიები. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ არა ერთი ტრენინგი სწავლების მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით და აქვთ სწავლების პრაქტიკული გამოცდილება. ასევე გასაუბრების დროს დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ სოციალურ ქსელში არსებულ ჯგუფებში და ელექტრონულ ფოსტაზე პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო რესურსების/ელექტრონული მასალების გაზიარების შესაძლებლობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული არცერთი მოდული ამჟამად დისტანციური ფორმით არ ხორციელდება. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულება უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების განხორციელებისთვის შესაბამისი მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას, მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნულის შესახებ დაწესებულება დადგენილი წესით აცნობებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ამასთან, დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების დანერგვისთვის შესაბამისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და ტექნიკური მექანიზმების შემუშავებას. აღნიშნული პროცესი განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, პროფესიული განათლების მარეგულირებელი აქტებისა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნების შესაბამისად.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ამჟამად არ ხორციელდება დისტანციური ფორმით, დაწესებულებას გააზრებული აქვს საჭიროების შემთხვევაში დისტანციური სწავლების დანერგვისთვის აუცილებელი ორგანიზაციული და მარეგულირებელი წინაპირობების შექმნის მნიშვნელობა და მზადყოფნას გამოთქვამს შესაბამისი მექანიზმების შემუშავებისა და დანერგვისათვის.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისი № 36 დადგენილებით დამტკიცებულა „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელშიც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესაბამისად რეაგირების მექანიზმები, როგორიცაა: ინდივიდუალური გეგმის შედგენის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცედურა, ადმინისტრაციული მხარდაჭერა, სასწავლო და შეფასების პროცესის დაგეგმვისას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისიწინება, მობილობისა, სტატუსის აღდგენის და განათლების აღიარების პროცედურები და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტი ქმნის საფუძველს, რომ სასწავლო პროცესი განხორციელდეს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომით და თითოეულ სტუდენტს მიეცეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობა.

დაწესებულება სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა განსხვავებულ შესაძლებლობებს, წინარე განათლებასა და პროფესიულ გამოცდილებას, საგანმანათლებლო საჭიროებებსა და ინდივიდუალურ გამოწვევებს. საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მოქნილ ორგანიზებას მისი საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, მათ შორის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, შესაბამის პროცედურებში დახმარებასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების დროულ გადაწყვეტას როგორც ადაპტაციის ეტაპზე, ისე პროგრამის განხორციელების პერიოდში.

სასწავლო და შეფასების პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების ინტერესები და ინდივიდუალური საჭიროებები. შეფასების პროცესი ეფუძნება მოქნილობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა შესაბამისი მხარდაჭერა სწავლის შედეგების დასადასტურებლად.

პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას ასევე უზრუნველყოფს დაწესებულებაში მოქმედი პროცედურები, რომლებიც არეგულირებს მობილობას, სტატუსის აღდგენას, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების აღიარებასა და სწავლის პროცესში წარმოშობილი განსაკუთრებული გარემოებების მართვას. აღნიშნული პროცესები ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელის, სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებების დაცვასა და სასწავლო პროცესში მათ უწყვეტ ჩართულობას.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებით დადასტურდა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები იცნობენ პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ ინდივიდუალურ მხარდაჭერას. პროგრამის ხელმძღვანელები და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები პროფესიულ სტუდენტებთან მუდმივი კომუნიკაციის საფუძველზე დროულად ავლენენ სწავლის პროცესში წარმოშობილ საჭიროებებს და ახორციელებენ შესაბამის რეაგირებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრებების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას გააჩნია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების შესაბამისი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში თანაბარი შესაძლებლობების შექმნას, სტუდენტთა მხარდაჭერას და პროფესიული განათლების ხარისხიან განხორციელებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.**
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ხორციელდება იმიტირებულ სასწავლო გარემოში, სწავლის შედეგები სრულიად მიიღწევა დაწესებულების ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსით და არ საჭიროებს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან თანამშრომლობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განსაკუთრებულ უსაფრთხოებას არ საჭიროებს. პროგრამით განსაზღვრული მოდულები განხორციელდება დაწესებულების აუდიტორიებში, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო. დაწესებულებას ზოგადი უსაფრთხოების ნორმები გაწერილი აქვს „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტში“ (დამტ. წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 29 დეკემბრის N53 დადგენილებით). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.1.6 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“*
- *„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“,*
- „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი“



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციის ტექნოლოგია“ სასწავლო გეგმა;*
- *დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;*

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 ივნისი № 36 დადგენილებით დამტკიცებულია ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესი. რომლის მიხედვითაც ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. პროფესიული სტუდენტებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია მოდულის შესაბამისად და იგი წინასწარ არის ცნობილი პროფესიული სტუდენტებისთვის. მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას, სადაც დგინდება/მოწმდება მისი შესაბამისობა მოდულით განსაზღვრულ შედეგების კრიტერიუმებთან, მტკიცებულებებსა და შეფასების მიმართულებებთან. ვალიდაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება აქვს ვალიდაციის ჯგუფს. ვალიდაციის ჯგუფში შედიან: შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები/მოდულის განმახორციელებლები, სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი/პირები. შეფასების პროცესამდე მინიმუმ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოდულის განმახორციელებელი ვალიდაციისთვის შესაბამის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირებს უგზავნის/წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს. ვალიდაციის პროცესს კოორდინირებას უწევენ სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი; ხარვეზის დადგენისათვის ვადა განისაზღვრება 2 (ორი) დღით. ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი რეკომენდაციით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს/მოდულის განმახორციელებელს, რომელიც ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული ვერსია. პროფესიული სტუდენტის შეფასებამდე ვალიდაციისას მიმდინარეობს კომუნიკაცია ზეპირი/ელექტრონული ფორმით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითობის პრინციპით გამოთხოვილი იქნა მილევად რეჟიმში განხორციელებული პროგრამების შეფასების ინტრუმენტები და მტკიცებულებები. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ინსტრუმენტის შინაარსი შეესაბამებოდა შიდა მარეგულრებელი დოკუმენტებით გაწერილ წესებს, დავალების მოცემულობა შესაბამისობაში იყო შეფასების კრიტერიუმებთან და სრულად აფასებდა სწავლის შედეგის მიღწევას.

წარმოდგენილი რეგულაციები და შეფასების პროცედურები ადასტურებს, რომ დაწესებულებაში შექმნილია პროფესიული სტუდენტების შეფასების გამჭვირვალე, სამართლიანი და ხარისხზე ორიენტირებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების ობიექტურ შეფასებასა და პროფესიული კომპეტენციების დადასტურებას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.2.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, (დამტ. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2025 წლის 26 აგვისტოს №41 დადგენილებით). აღნიშნული მექანიზმის თანახმად დაწესებულება ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შეფასების შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). პროცესის სირთულიდან გამომდინარე, ვერიფიკაცია ხდება შერჩევითი პრინციპით. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შეიმუშავებს რისკების სისტემას. ეს შესაძლოა იყოს: დამწყები პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების მასწავლებლის ფაქტორი, სანდო პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა, საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება და სხვა. ვერიფიკაციის პროცესს ხელმძღვანელობს პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ვერიფიკაციის იმ ნაწილს განახორციელებს, რაც დარგის კომპეტენციას არ მოითხოვს. ვერიფიკაციის პროცესში იმ ნაწილს, რომელიც დარგის ცოდნას მოითხოვს, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით, მონაწილეობს დარგის სპეციალისტი. დაწესებულებამ წარმოადგინა ადმინისტრაციული პერსონალისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების შეხვედრის ოქმი და ადმინისტრაციული პერსონალისა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციაში ჩართული პირების შეხვედრის ოქმი. აღნიშნული ოქმების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულება ვერიფიკაციის პროცესის ჩატარებამდე განსაზღვრავს ვერიფიკაციაში მონაწილე პირების ვინაობას (ინტერესთა კონფლიქტის დაცვით), განსაზღვრავს ვერიფიკაციის ვადებს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და მოდულებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის დოკუმენტაციისა და ოქმების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში მოქმედი ვერიფიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ხარისხის კონტროლსა და შეფასების სისტემის სანდოობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.2.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

დაწესებულებას „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ დადგენილი აქვს მტკიცებულების შენახვის წესი და ვადები. მტკიცებულებები დაცულია და ინახება მოდულის შესაბამისი უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შემდგომ ნადგურდება სასწავლო უნივერსიტეტში შესაბამისი წესით. მტკიცებულებებიდან საუკეთესო შესაძლებელია გადაეცეს უნივერსიტეტის არქივს ან სურვილისებრ პროფესიულ სტუდენტს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.2.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმში" (დამტ. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2025 წლის 26 აგვისტოს №41 დადგენილებით) გაწერილი აქვს სტუდენტთა შეფასების შედეგების სტუდენტების შემდგომი განვითარებისათვის გამოყენების მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით ხორციელდება: ა) აკადემიური გამოწვევის იდენტიფიცირების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელის ან/და მოდულის განმახორციელებლის მიერ სტუდენტისთვის ინდივიდუალური მხარდაჭერის საჭიროების იდენტიფიცირება (კონსულტაციის გაწევა, მასალების დამატებით მიწოდება, სხვა დამხმარე აქტივობები) ბ) წარმატებული სტუდენტების შემდგომი განვითარებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით, პროფესიული სტუდენტისთვის დამატებითი წამახალისებელი აქტივობების შეთავაზება (კონკურსები, კონფერენციები, მასტერკლასები, სტიპენდია, ვორქშოპები, პროექტები და ა.შ.). პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებზე მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.4.2.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- *გასაუბრების შედეგები.*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

25.08.2026 წ.

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: